№ 2769
კვირა
13 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2769
კვირა
13 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

თომა გრიგორის ძე გრიგორიევი, ელისაბედ გრიგორის ასული მალიევისა შვილებითურთ და დარია ზურაბის ასული ფლორინსკისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას და დაუვიწყარ დედის, უკანასკნელი—დეიდის

ელენე მოსეს ასულის გრიგორიევისას.

პანაშვიდები ყოველ დღე 12 და 7 საათზე. ცხედრის გამოსვენება 13 მარტს დილის 10 საათზე განსვენებულის ბინიდან: მამადავითის მოედანი № 3, მამადავითის ეკკლესიაში. დაკრძალვა ეკკლესიის გალავანში. (3—3)

კესარია ალექსის ასული იოსელიანისა, ელენა ალექსანდრეს ასული და გიორგი მიხეილის ძე სავანელები, ნესტორ და კონსტანტინე ალექსის ძენი ელიავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას პირველი საყვარელ მეუღლისას, მეორენი ძვირფასი ბიძისას და მესამენი დაუვიწყარი სიძისას პრაპორშჩიკის

ბესარიონ ფილიპეს ძის იოსელიანისას

მიცვალებულს დაკრძალვენ სამშაბათს, 15 მარტს სოფ. კვათანაში, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. (1—100—1)

ელისაბედ სარდიონ აგიაშვილის ასული კნეინა მიქელაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მარტის 15-ს დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი მისის ქმრის

პოლკოვნიკის ბარნაბა ტარიელის ძის მიქელაძისა,

სოფელ კულაშს, ჯვარცხმის ეკკლესიაში. (1—კნ.—1)

ბარბარე სულხანის ასული თულაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას თავის ძვირფასის მეუღლის სტ. სოვ.

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილისას.

ცხედრის გამოსვენება ოთხშაბათს, 16 მარტს, დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის ბინიდან (საკუთარი სახლი ოქრომჭედლების ქუჩა). პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7½ საათზე. (2—94—1)

საარტისტო საზოგადოების დარბაზში
ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნება

კონცერტი

ქართულ სათილარმონიო საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად. მონაწილეობას მიიღებენ: კნ. სოფ. დ. დიასამიძისა, კნ. ბარ. მ. ამირაჯიბისა, კნ. ან. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ბ. ტ. ზაგიუ. ბ-ნნი ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირანოვიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟორობით. ბილეთების ფასი 5 მანეთიდან 70 კ., მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი სრულ 8½ საათზედ.

ბილეთები იყიდება საარტისტო საზოგადოების კასსაში

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯ. ი. ა. სულხანიშვილი.

გასტროლი ქუთაისის ქართულ დასისა

საარტისტო საზოგადოების თეატრში კვირას, 13 მარტს, 1905 წ. ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასის მიერ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა:

ქაი გრააქხ

ist. დრამა 5 მოქ. მონტისა, თარ. ი. მაჭავარიანისა.

—

სამშაბათს, 15 მარტს, 1905 წელს
ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

როზა ბერნდ.

დრამა 5 მოქ. გ. ჰუპტმანისა, თარგმანი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, რონელი, ივანიძე, მდივანი, გამყრელიძე, ურბნელი; ბ-ნნი: **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**, გამყრელიძე, აწყურელი, ბაქრაძე, გვარაძე, ხარდალიშვილი, გრ. ჩარკვიანი, მურუსიძე და სხვა.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

(2—2) რეჟისორი **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.**

ნამდვილი ცელულიარული
◆ თესლი აბრეშუმისა ◆
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. ქ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პასკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვი. ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—16)

აბრეშუმის თესლი თეთრი ნამდვილი ბაღდადის ჯიშის **ფ. პ. ლასკარიდის** ფირმის, ტფილისის საბრეშუმო სადგურის ბაქტერიოლოგით და [illegible]. იყიდება ტფილისში **ნ. ვ. კრინსკის** კანტორაში, რიაბაიკოვის ქ. № 8. (5—89—4)

კბილის ექიმი
ე. ი. ბაღდარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (80—17—19)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.
ზ. ბ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბაღდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ი. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ვ. ზ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
1. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

ს ა ღ ა მ ო ს:

ს. ი. ჯაფაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

[illegible] რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთათვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა ატყობინებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 27 მარტს, დილის 10 საათზე დანიშნულია **წლიური საზოგადო კრება** წევრებისა, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. 1904 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება:
2. 1905 წლის აღრიცხვის დამტკიცება.
3. არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დირექტორისა, ნაცვლად ძველისა, რომელსაც ვადა გასდის.
4. არჩევანი საბჭოს ოთხის დირექტორისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
5. არჩევანი სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. საზოგ. წეს. მე-36 §-ის ძალით, რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარდგენილ იქნას გამგეობაში სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს 24 მარტისა. (3—5.—1)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბაღდარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის ქ. № 115. ხევცების ეკკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—7)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—34)

ოფიციალური ცნობა

საომარ დროის წესები მთელ ქუთაისის გუბერნიაში, ფოთსა და ბათუმში.

(„კავკაზ“-ი № 67).

უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დადგენილების ძალით, საომარ დროის წესები, რომელიც შემოღებულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში, გავრცელებულ იქმნას მთელ ქუთაისის გუბერნიისა, ქალაქ ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმზე.

ამ უმაღლესის ბრძანების გამო, რომელიც მაცნობა [illegible] ნამესტნიკმა, წინადადებას ვაძლევ გენერალ-ლეიტენანტ თავად ჯამბაკურ-ორბელიანს, ეხლავე შეუდგეს გენერალ-გუბერნატორის დროებით თანამდებობის ასრულებას. გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარება არა მარტო ოზურგეთისა, სენაკისა და ქუთაისის მაზრები და კინტრიშის ნაწილი, როგორც ეს 7 მარტის ბრძანებაში იყო აღნიშნული, არამედ მთელი ქუთაისის გუბერნია და ქალაქები ქუთაისი, ფოთი და ბათუმი. ამასთან გენერალ-ლეიტენანტს თავად ჯამბაკურ-ორბელიანსვე დაემორჩილება ყველა ის ჯარი, რომელიც ქალაქ ბათუმშია.

მთავარ-მართებლის თანამდ. ალმ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა.**

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
11 მარტი.

პორტ-საიდი. 11 მარტი. კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის გემების რაზმი მოვიდა. მეზღვაურნი ყველანი ჯანმრთელად არიან.

ლონდონი, (საკუთ. კორესპ.). კერძო წყაროებიდან გავიგეთ, რომ რადგანაც მუკდენთან ბრძოლის შემდეგ რუს ტყვეების რიცხვი ძლიერ გადიდდა, ამიტომ იაპონიის მთავრობა ჰფიქრობს, რაც შეიძლება ჩქარა გაგზავნოს სამშობლოში რუსების ყველა ტყვეები და არ დაუცადოს ომის გათავებას; ამიტომ ხსენებულ მთავრობას სურს გაგზავნოს ოდესაში ტყვეები ისე, რომ არავითარი ვალდებულება არ დაადოს არავის. უკვე მიუღიათ ზომები და ამ მიზნის განსახორციელებლად უნდათ დაიქირაონ ინგლისის გემები. თუ ეს ცნობა დამტკიცდება, მაშინ ეს ერთად ერთი თავისებური ქცევა იქნება ერთ-ერთ მებრძოლ მხრისაგან.

ლონდონი. შეერთებულ შტატების მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მას არაფრის გულისთვის არ სურს, ამა თუ იმ გზით, ჩაერიოს იმის საქმეში და არასოდეს არ გადადგამს თვითონ პირველ ნაბიჯს წინ საშუამდგომლოთ, თუ ორივე მოპირდაპირე მხარემ არა სთხოვა მას ესაო. ინგლის-ამერიკის სინდიკატში, რომელმაც იაპონიის ახალი სესხი უნდა გაანაღდოს, მონაწილეობას იღებენ ყველაზე დიდი ნიუ-იორკელი ფირმები. სესხს იღებენ ამერიკის მებანკეები 83 და ¾ პროცენტად, ინგლისისა—86%-ათ. სესხის ჯამი ოცდა-ათი მილიონი გირვანქა სტერლინგია. ამ სესხს გარანტიათ სახელმწიფოს სათუთუნე მონოპოლიის შემოსავალი აქვს. ობლიგაციებს 20 წლის ვადით უშვებენ, მაგრამ იაპონიას უფლება აქვს დანიშნულ ვადამდე გადაიხადოს სესხი. გერმანიის ბანკები ოფიციალურად არ იღებენ მონაწილეობას სესხის განაღდებაში, მაგრამ დიდი ბანკები იკისრებენ მოათავსონ დიდი წილი ობლიგაციებისა.

როსტოვი დონზე. ვალიანი, რომელსაც აქ დიდი სავაჭრო ფირმები აქვს, ქალაქიდან წავიდა. ხმებია, რომ ვალიანოს სავაჭრო საქმეები ცუდათ წასულიათ. მას 4 მილიონ მანეთზე მეტი ვალი აქვს ადგილობრივ ბანკებისა.

მინსკი. საგლეხო რეფორმის შესახებ გამართულ თათბირის დროს გადაწყდა შევიწროებულ იქნას სავოლოსტო სასამართლოს კომპეტენცია და აღიარებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ხელ-შეუხებლობა სანადელო მიწებისა.

ლოძი. ადგილობრივ ფაბრიკებს შეუკვეთეს მაუდი შორეულ აღმოსავლეთის ჯარებისთვის.

ბათუმი. გურიაში სიმშვიდეა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
11 მარტი

დუვრი, 11 მარტი. ჩაიარა გემმა „ჰამბურგ“-მა, რომლითაც იმპერატორი ვილჰელმი მოგზაურობს, და კრეისერმა „ფრიდრიხ კარლ“-მა.

პეკინი. 11 მარტი. ჩიფუდან წავიდა ფორმოზისაკენ იაპონიის პირველი რანგის კაპიტანი ნისსი, რათა თვალ-ყური დაიჭიროს რუსეთის ესკადრაზე. იაპონიის კონსულმა ჩიფუდან ჩინელებს გარდა ორი იაპონელიც გაგზავნა ცინდაოში რუსის გემებისთვის ყურის საგდებლად, იაპონელებმა ასამდე ჯონკა დაიქირავეს, რათა დადუგოუდან ჩემულპოში ხე-ტყე გადაიტანონ. ჩიფუდან თითქმის მუდამ დღე იგზავნება ჯონკები, სურსათით დატვირთული, დალნში და პორტ-არტურში. მეათე თვეზე იაპონელებმა 25 ნაღმოსნის კეთება დაასრულეს. იოკოსუკის ნავთ-სადგურში ოთხი წყლის ქვეშ მცურავი ნავი გააკეთეს, სასებოში—ორი. სხვებს კეთებას განაგრძობენ. ეს ნავები უნდა გაამწკრივონ რუსის ესკადრის გავლის დროს კორეისა და ლაპერუზოვის ყურეებში.

სტამბოლი, 11 მარტი. ეხლახან გაწვეულ რედიფებს იემენისკენ ჰგზავნიან. 3 სტრანსპორტო გემი, ჯარებით დატვირთული, პრევეზაში წავიდა; ეს ჯარები იემენისაკენ მიჰყავთ. ჩქარა 3 ტრანსპორტსაც გაგზავნიან.

ვიტებსკი. ერობამ და საგუბერნიო საკრებულომ მიანდო ვიტებსკის მეურნეთა საზოგადოებას იყიდოს ლერწმისა და სხვა მცენარეების თესლი და გლეხებს დაურიგოს.

კოვნო. კოვნოში მოხდა მეურნეების კრება, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. ამ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გაუგზავნა ტელეგრაფით სამიწათმოქმედო მინისტრს: თანახმად უმაღლესის მოწოდებისა, კოვნოს მეურნეთა საზოგადოება მოვალედ სთვლის თავს გამოსთქვას თვისი ღრმა რწმენა, რომ არსებით მოთხოვნილებას ჩვენის კუთხისას შეადგენს პირადობის უფლებების, თავისუფალ მოქმედების, და ყველა მცხოვრებლების მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებების ნაციონალურ განვითარების უზრუნველ ყოფა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღდგენილ იქნას ჩვენის კუთხის შერყეული მდგომარეობა, განვითარდეს საწარმოო შრომა და თან-და-თან აღმაღლდეს სულიერი ძალა მკვიდრთა, თუ ზემოხსენებული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნებიან. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ უმაღლესად გამოცემულ რესკრიპტში ნახსენებ რეფორმების განსახორციელებლად მოწვეულ იქნებიან აგრეთვე საუკეთესო, ღირსეულნი კაცები, ჩვენის კუთხისაგან თავისუფლად არჩეულები.

ამიენი. გარდაიცვალა ჟულ ვერნი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარის დახევა. 8 მარტს იაპონელებმა ჩანტუფუ აიღეს. რუსებმა ჩანჩუნისაკენ (კუანჩენძი) დაიხიეს. ტოკიოდან იუწყებიან, რუსები 10 მარტს მანხუაგანიდან 25 მილზე ჩრდილოეთით იდგნენო. მანხუაგანი ტელინიდან 75 ვერსტზე მდებარეობს, ჩრდილოეთით, მანდარინის შარა გზაზე, რკინის გზის აღმოსავლეთით. 8 მარტს აღებული ჩანტუფუ რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს, მეორე შარა გზაზე. აქედან სჩანს, რომ იაპონელები დღემდე სხვა და სხვა გზით მისდევენ რუსებს, როგორ მიდის რუსის ჯარის საქმე, ამაზედ, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ მოაქვთ დეპეშებს. გენ. ლინევიჩის ოფიციალური დეპეშაც ეს ორი დღეა არ გამოუცხადებიათ, მხოლოდ ის ვიცით, რომ რუსის ჯარი ხარბინისა და გირინისაკენ იხევს, იაპონელები თან მისდევენ. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სამართლიანად ჰფიქრობს, ომის მომავალი მიმდინარეობა იმაზეა დამოკიდებული, მოეწევიან იაპონელები გზაში რუსებს, თუ ვერაო. ეტყობა, იაპონელები ცდილობენ, რუსის ჯარს გზა უყელონ და ჩრდილოეთისაკენ აღარ გაუშვან. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტიც იუწყებოდა 4 მარტს დეპეშით: ამბობენ, იაპონელთა რაზმები შორიდან გვერდიდან უვლიან რუსის ჯარსაო. მართალია რუსები უკან დახევის დროს გზას და ხიდებს ანგრევენ, მაგრამ იაპონელები მაინც ფეხ და ფეხ მისდევენ და იქნება სადმე გზა უყელონ.

მარშალ ოიამას რუსის ჯარის დევნა წინადვე მოუწყვია და მოუფიქრებია. „დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება იაპონიის მთავარ-შტაბიდან: რაწამს მუკდენის ბრძოლა გათავდა, იაპონელებმა ჯარი გაარჩიეს, უფრო სუსტი ჯარის კაცები მუკდენსა და გზებზე დასტოვეს, დანარჩენი კი ყველანი რუსებს დაედევნენო. ასე რომ რუსებს იაპონიის ოთხივე არმია დაედევნა. იაპონელებმა დიდძალი ფურგონი და პოვოზკა, ცხენი და სურსათი ჩაიგდეს ხელში და ეს უფრო გაუაადვილებთ რუსის ჯარის დევნას.

მარშალი ოიამა თითონაც ჩრდილოეთისაკენ წასულა მუკდენიდან. „ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: მარშალმა ოიამამ თავისი მთავარი სადგომი ტელინს გადაიტანაო.

რუსის არმიას გზაში მაშველი ჯარი მოსდის. „ეკო დე პარი“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ხარბინის გზაზე და რუსის არმიას რუსეთიდან ახლად ჩასული ჯარი, რიცხვით 120 ათას კაცამდე (?) მიეშველებაო. ეს ცნობა სწორე არ უნდა იყოს. რუსეთიდან გაგზავნილი ჯარი სულ მუკდენში იყო ჩასული, გზაში ცოტაოდენი-ღა იყო დარჩენილი. („ო. ნ.“).

რუსის ჯარის ზარალი. ჯარის ზარალზე ხომ არავითარი ცნობა არ მოდის. მხოლოდ „რუსეთის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან: იმდენი რუსი დაატყვევეს იაპონელებმა მუკდენთან, რომ იაპონიის მთავრობა ეხლავე, ომის გათავებამდევე, რუსეთში გაგზავნას უპირობს ტყვეებსაო; ამისათვის მთავრობა გემების დაქირავებას შეუდგა კიდევაცაო.

ტელინში რუსებს სიმაგრეების გარდა, 300 ახალი დიდი შენობა ჰქონიათ აშენებული. ეს შენობებიც სულ დაუწვავთ უკან დახევის დროს. („ო. ნ.“).

ხარბინში. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ხარბინში მეტად საზარელი ამბები ხდებაო. ბრძოლის ველიდან დიდძალი დაჭრილი მეომარი მოიყვანეს და კერძო სახლებში დააბინავეს. რადგან სამხედრო და წითელ ჯვრის ექიმების უმეტესობა მუკდენში დარჩა, ამიტომ ხარბინში ექიმები აკლიათ; აქ ხლოროფორმი სულ არაა, იოდოფორმი და სხვა ამნაირი წამალიც აკლიათ. სამოქალაქო ექიმები ბეჯითად მუშაობენ და დაუსვენებლივ უვლიან დაჭრილებს. რადგან ვაგონები არა ჰყოფნის, დაჭრილები ცუდ და ცივ ამინდში ახდილ პლატფორმებით გადმოჰყავთ. მეტად ბევრი დაჭრილი კვდება. რკინის გზის სადგური ხარბინში მკვდრებითა, მომაკვდავებითა და დაჭრილებით გაივსოო. („ნ. ვ.“).

მუკდენის ბრძოლის სურათები. ერთი ინგლისელი კორესპონდენტი, გენ. ოკუს არმიაში მყოფი, ასე ასწერს სოფ. კანკიაჩენის (მუკდენის სამხრეთ-დასავლეთით) აღებას: სოფ. კანკიაჩენი რკინის გზიდან 6 ვერსტზე მდებარეობს დასავლეთით. იაპონელებმა ჯერ სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, რკინის გზის ლიანდაგის იქით საველე და პატარა საალყე ზარბაზნები დადგეს და სოფელს დაუშინეს. რუსები სოფლის აღმოსავლეთ ნაწილიდან ისროდნენ ზარბაზნს. იაპონელებმა თავიანთ არტილერიას მოუმატეს; ბრძოლამ სადილობამდე გასტანა. იაპონელთა ყუმბარები სეტყვასავით ცვიოდა სოფელსა და რუსის პოზიციებზე. ნაშუადღევის 2 საათზე სროლა გაძლიერდა და ჩინელების სახლებს ცეცხლი წაეკიდა. გენ. ოკუ 3 საათზე კარვიდან გავიდა და ცხენით ბრძოლის ველის დასათვალიერებლად წავიდა. ახლა ქვეითა ჯარი ჩაერია ბრძოლაში: განთქმული დივიზია ჩრდილოეთ იაპონიიდან იერიშით წავიდა. ჯერ ჩრდილოეთით მდებარე სოფლიდან 12 კაცი გაქანდა წინ, 100 მეტრამდე გაირბინა და ჩასაფრდა; ამათ რამდენიმე პატარა რაზმი მიჰყვა და ამნაირად მთელი როტა შეიკრიბა. შემდეგ იაპონელები იმავ რიგით წინ გაემართნენ. რუსის არტილერია სეტყვასავით აყრიდა ყუმბარას, მაგრამ იაპონელები მაინც ვერ შეაყენა. იაპონელები ათ-ათობით ცვიოდნენ ძირსა, ზოგიერთი დაჭრილი ხელახლად ცდილობდა წამოდგომას. ამავე დროს იაპონელები სოფლის დასავლეთ მხრიდანაც წავიდნენ იერიშით. ბოლოს სალდათები სოფელში მიიმალნენ და სოფლის მეორე მხარეს თოფის ჭახაჭუხი დაიწყო. იაპონიის არტილერიამ ხელახლად ასტეხა სროლა, მაგრამ მალე ტელეფონით შეატყობინეს, სოფელი ავიღეთო. მერე სხვა სოფელზე მიიტანეს იერიში.

ბრძოლის დროს ორივე მხარე ნაირ-ნაირ ხერხსა ხმარობდა. ერთხელ იაპონელებმა ვითომ სროლა დაუწყეს თავიანთ ჯარისკაცებსვე. რუსებმა თავიანთ ჯარად ჩასთვალეს, მიუახლოვდნენ და იაპონელებმა წრე შემოავლეს. („რ.“)

ფრანგულ პრესის აზრი მუკდენის ბრძოლაზე. მუკდენის ბრძოლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ქვეყნიერობაზე. ფრანგული პრესა ერთხმად აღიარებს რუსის ჯარის დამარცხებას და მეგობრულად რუსეთს შერიგებას ურჩევს. „ტან“-ი სწერს: [illegible] რუსეთი თავმოყვარეობასა და გულის თქმას არ აჰყვეს, იაპონიას დროზე [illegible] და თავის შინაურ საქმეების [illegible] შეუდგესო. რუსეთმა ისეც დიდი [illegible] შესწირა თავის სამხედრო სახელის დაცვასაო.

„ჟურნალ დე დება“ ამბობს: რუსეთს ხელ-ახლად მოუხდება ომის დაწყება. [illegible]

მუკდენთან რუსეთმა სამუდამოდ წააგო ომიო. „ფრანგულ გაზეთების ანგარიშით, ახალ ომისათვის მილიონი ჯარი და ათი მილიარდი ფრანკი დასჭირდება რუსეთს, ამიტომ შერიგება სჯობიაო. („რ. ს.“).

ჩრდილოეთ მანჯურიაში. მუკდენისა და ტელინის დაკარგვამ და რუსის ჯარის უკან დახევამ თავს ზარი დასცა თურმე ჩრდილოეთ მანჯურიასა და ვლადივოსტოკში მცხოვრებ რუსებს.

ხარბინიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: ადგილობრივი მცხოვრებლები დღემდე თავზარ-დაცემულები არიან რუსის ჯარის უკან დახევისაგან. ხმა დადის, ციციკარის დასავლეთით ბევრი ხუნხუზი და ჩინელი ჯარის კაციაო. თუმცა ბევრი დაჭრილი მიჰყავთ აქედან, ქალაქი მაინც ძალზე აივსო დაჭრილებით. რამდენიმე საეჭვო ჩინელი და კორეელი დააპატიმრესო.

იმავ გაზეთის მეორე კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან: ჩინელები აღელვებულნი არიან და ირწმუნებიან, იაპონელები 28 მარტს მოვლენ ხარბინშიო. ბოდუნოშიაც (მდ. სუნგარიზე, ხარბინის სამხრეთ-დასავლეთით) ეშინიანთ, ვაი თუ იაპონელები აქაც მოვიდნენო.

დეპეშიდან ვიცით, რომ ბლაგოვეშჩენსკს ახლო, მდ. ამურის პირზეც გაჩენილან ხუნხუზები და იქაურ მცხოვრებლებისათვის თავზარი დაუციათ.

„ტაიმს“-ისა და „დეილი ქრონიკლ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტები იუწყებიან: რუსეთ-ჩინეთის ბანკის ტელინის განყოფილება რუსებმა გირინში გადაიტანეს ხარბინისა და ვლადივოსტოკის განყოფილება ირკუტსკშიო. („ო. ნ.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება, იაპონელებმა ცალკე ჯარი გაგზავნეს იმ განზრახვით, რომ რუსის ჯარს ვლადივოსტოკის გზა მოუჭრასო.

ქართველ ქალების ხმა

გუშინ ჩვენს გაზეთში ქართველმა ქალებმა საჯაროდ გამოაცხადეს, დროა გავტეხოთ სიჩუმის კლიტე, ავიხსნათ მონობის ბორკილი და მამაკაცებთან ერთად ვიშრომოთ ახალის, ჰუმანიურ და სამართლიანის ცხოვრების შესაქმნელადო. „ჩვენი სურვილია, რომ იქ, სადაც საზოგადო საქმეზედ არის მსჯელობა, ჩვენ, დედაკაცებსაც, გვქონდეს ადგილიო“—ამბობენ ქართველი ქალები.

ქართველ ერს არც ისტორიულ წარსულში ჰყავდა და არც დღესა ჰყავს ქალები ათვალწუნებულნი. ჩვენში ქალების მდგომარეობა, უკეთესი თუ არა, უარესი არასოდეს არა ყოფილა ვიდრე სხვაგან. მართალია, კანონით ჩვენს ქვეყანაში მამაკაცებს გაცილებით მეტი უფლება აქვთ მინიჭებული, ვიდრე დედაკაცებს, მაგრამ ეს ქართველს ერს არ ესაყვედურება, რადგან თვით კანონები ქართველ ხალხის დაუკითხავად და იმის სურვილის მიუხედავად იწერება რუსეთის იმპერიაში. დღევანდელ კანონის მთავარი დამახასიათებელი თვისება ადამიანის უფლებათა შეკვეცაა და ამიტომ ქართველ ქალების უუფლებობა ზოგად მოვლენის მხოლოდ ერთ-ერთი ნაკვთია, არც მეტი, არც ნაკლები.

ქართველ ქალების ის ნაწილი, რომელმაც კი ხანია შეიგნო ეხლანდელის საზოგადოებრივ მდგომარეობის უსამართლობა, უკვე გამოვიდა საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე და მამაკაცებთან ერთად ებრძვის ძალმომრეობას და ბნელეთს. ამ მხრივ ქართველს კაცსაც და ქალსაც ერთნაირად შეუძლიან იამაყოს. ათს წელიწადზე თუ მეტი არა, ნაკლები არ იქნება, რაც ტფილისის მოწინავე ქართველობამ საჭიროდ სცნო უკეთესის, ჰუმანიურის მომავლის შესაქმნელად, ხალხში გადაეტანა თავისი მოქმედება, დაიწყო სახალხო წარმოდგენების მართვა, წიგნების კითხვა, ბიბლიოთეკების დაარსება და სხვა. ადგილობრივი ადმინისტრაცია და სხვა რეტროგრადული ძალები მრავალს დაბრკოლებას უყენებდნენ წინ ამ პროგრესიულ მოღვაწეობას, მაგრამ მაინც ნათელმა დასძლია ბნელს... ეს მძიმე საქმე უმთავრესად ქართველმა ქალებმა დააყენეს ფეხზე, უმთავრესად ქართველმა ქალებმა შეჰქმნეს იგი და ისინივე აწარმოვებენ იმას დღემდე. ოჯახისა და ათასის სხვა წვრილმანის საქმით წელში მოხრილი ქართველი ქალი კიდევ პოულობდა დროს და ენერგიას ამ უანგარო, წმინდა მოღვაწეობისთვის, ხალხის ინტერესით გატაცებული შეუსვენებლივ მუშაობდა ის ამ ასპარეზზე, და ნუ თუ ეს საკმაო საბუთი არ არის სიამაყისთვის. ქართულ მწერლობაში ჩვენ ქალებს დღემდე საპატიო ადგილი უკავიათ; მოვიგონოთ კნ. ნინო ორბელიანისა, ბარბარე ჯორჯაძისა, ეკ. გაბაშვილი, განდეგილი, ნინო ნაკაშიძე, ხოშტარია-ერისთავი და სხვები.

არავის არა აქვს საბუთი სთქვას, რომ ქართველი ქალი საზოგადო ქართულ საქმეებში არ იღებს მონაწილეობასო, გარდა იმ გადაგვარების გზაზე დამდგარ ქალბატონებისა, რომელთაც უფლება და საზოგადო მოღვაწეობა მარტოოდენ მოსართავად მიაჩნიათ, როგორც გულზე შემოსაკრავი რამ ლენტი ან სარტყელი. ის ქართველი, სულ ერთია ქალი იქნება, თუ კაცი, რომელიც ეხლანდელის გაზაფხულის სიოთი გამთბარი მხოლოდ სახელის და დიდებისათვის ისვრის ლიბერალიზმის ფრაზებს, მოწინავე ქართველობას ვერც ამხანაგობას გაუწევს და ვერც მხარს დაუმშვენებს, მაგრამ ვინც საქმით მოისურვებს დღევანდელ წესწყობილებაში ნათელის შუქის „შეტანას, ის უთუოდ იპოვის მოქმედების ასპარეზსაც. თუ დღემდე პოულობდა ქართველი ქალი თავის საზოგადოებრივ მიმართულების მოქმედებისთვის თანაგრძნობას და ამხანაგობას მამაკაცთაგან, დღეის შემდეგ ეს ამხანაგობა, ეს ერთობა უფრო უნდა გაძლიერდეს და ძლიერდება კიდეც.

გათანასწორდება უფლებებით მომავალ წესწყობილებაში ქალი და კაცი, თუ ვერა, ეს, ჩვენის ფიქრით, მთლად იმ მონაწილეობაზეა დამოკიდებული, რომელსაც ეხლანდელს მომამზადებელს მოქმედებაში მიიღებს ქალი. თუ ქართველმა ქალმა კარები ჩაიკეტა და ელოდა, აბა მამაკაცები როდის დამიძახებენო, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შორს ვერ წავლენ, მაგრამ თუ ენერგიის და საკმაო სამოქალაქო გაბედულებას გამოიჩენენ, თავის მოქმედების ნაკადულით საერთო მოძრაობას თვალსაჩინოთ გააღონიერებენ, უეჭველია მათი გათანასწორებაც მამაკაცებთან მოსალოდნელი იქნება.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ქართველ ქალების სურვილს, საქმით და არა მარტო სიტყვით იბრძოლონ ჩვენის ქვეყნის პროგრესიულ ელემენტებთან ერთად უფლებათა მოსაპოვებლად, და ამ გვარისავე აღტაცებით მიეგებება მათს სურვილს ყველა, ვისაც-კი მომავალი გამარჯვება ბნელ ძალებთან ბრძოლაში თავის მოქმედების ქვაკუთხედად აქვთ დასახული. უნდა გვახსოვდეს მხოლოდ, რომ დღეს ფუჭის სიტყვით ფონს ვერავინ გავა, საჭიროა საქმე და ენერგიული მოღვაწეობა. ქართველმა ქალებმა უკვე დაამტკიცეს თავის წარსულით, რომ იმათ ბევრის კეთილის და დიდის საქმის გაკეთება შეუძლიანთ; მამაკაცები მოვალენი არიან დაიხმარონ ისინი დღევანდელ მუშაობაშიაც და ამ დახმარების მიზანი მომავალი თავისუფლება და თანასწორობა უნდა იყოს. გ. რ.

ათის მარტის ინციდენტი

დღემდე აზრსა და სიტყვას ჩვენს ცხოვრებაში ერთი მტერი ჰყავდა, რომელსაც ეგონა აზრისა და სიტყვის დევნით მშვიდობიანობას ვამყარებო. დღეს მეორე მტერმაც ამოჰყო თავი... მოიგონეთ 10 მარტის ინციდენტი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში. საგლეხო მოძრაობის გამო შეფიქრიანებულის ქართლის თავად-აზნაურობას მსჯელობა ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა მას დღევანდელს პირობებში. აღმოჩნდა, რომ ყველას უცოდველი არ ეგონა თავისი თავი, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთს თავად-აზნაურობის წარმომადგენელს თავისი თავი რამდენადმე დამნაშავედ მიაჩნდა და საჯაროდ ამხელდა ამ გარემოებას, რათა თავად-აზნაურობას ჯეროვანის სიფრთხილით და მიუდგომლობით შეეხედნა საქმისთვის. იქ, სადაც საზოგადოებრივის ცხოვრების ინსტინქტი ნორმალურად არის განვითარებული, სადაც სოციალური კლასსი ან წრე მარტოოდენ მაშინ არ ახდენს ყრილობას და კრებას, როდესაც უკვე მოთმინების ფიალა აქვს ავსილი, წარმოუდგენელია საზოგადოებამ გულდინჯად ვერ მოისმინოს ისეთი უბრალო სიტყვა, როგორიც იყო ბ-ნ ვახტ. მუსხელიშვილის სიტყვა, წარმოთქმული თავად-აზნაურობის კრებაზე ათს მარტს. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შეიგუა გულახდილი ლაპარაკი და კრებიდანაც-კი გააძევა ახალგაზდა ორატორი. ვუცხადებთ-რა ჩვენს თანაგრძნობას ბ-ნს ვახტანგ მუსხელიშვილს, ჩვენ მაინც იმედიანად ვუცქერით მომავალს და გვწამს, რომ თავისუფალ აზრის და სიტყვის დევნა ქართულ საზოგადოებაში ნიადაგს ვერ დაიმკვიდრებს. მოწინავე ქართველები ერთად უნდა ებრძოლონ როგორც თანამედროვე მაწნურ სისტემას ბიუროკრატიულის მმართველობისას, აგრეთვე იმ უკან ჩამორჩენილ ნაწილს საზოგადოებისას, რომელსაც დღემდე ვერ შეუგნია თავისუფალის სიტყვის და აზრის ღრმა მნიშვნელობა.

გლეხთა მოძრაობა

სამწუხარო გაუგებრობა.

გორის მაზრის თავად-აზნაურობა და შეგნებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა გულდასმით თვალს ადევნებს გლეხთა მოძრაობას, რომელმაც გორის მაზრაში განსაკუთრებული, მწვავე ხასიათი მიიღო. ვისაც შესწევს ძალა და აქვს თავად-აზნაურობაზე გავლენა, მოვალეა ანგარიში გაუწიოს დიად მოვლენას, რომ თავად-აზნაურობა არ დადგეს ყალბ გზაზე და ამით არ ჩაიდინოს გაუსწორებელი შეცოდება ჩვენის მომავალის წინაშე. საზოგადოების შეგნებულ ნაწილს კარგად უნდა ესმოდეს, რომ თავად-აზნაურობის უმრავლესობა მოუმზადებელია სოციალურ მოვლენების ახსნისათვის და იმავე დროს დაინტერესებულიც არის; მაშასადამე, ადვილად შესაძლებელია ყალბი გზა აირჩიოს და სამუდამოდ გაიტეხოს ისედაც ბოლო ხანებში დაზიანებული სახელი.

ვინც თვალ-ყურს ადევნებდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებებს, იგი დარწმუნებულია, რომ ზემოდ მოყვანილი მოსაზრება საბუთიანია. უმრავლესობა თავად-აზნაურებისა მეტად აღელვებულია, გულმოსულია და მზად არის მიმართოს იმისთანა ზომებს, რომელიც მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება. არიან იმისთანები, რომელნიც საჯაროდ გაიძახიან, საჭიროა იმავე ზომებით ბრძოლა, რა ზომებითაც გლეხ-კაცობა გვებრძვისო, ესე იგი ცეცხლზე ცეცხლით უნდა ვუპასუხოთ, თოფზე—თოფითაო. არიან იმისთანებიც, რომელნიც ლაღადებენ ადმინისტრაციის კალთის ქვეშ თავის ამოფარებას. რასაკვირველია, ყოველივე ეს უტყუარი საბუთია იმისი, რომ ამ ვაჟბატონებს დაახლოვებითი წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა დიად სოციალურ მოვლენის მოწამენი ვართ დღეს და რას გვავალებს დღევანდელი ისტორიული მომენტი ჩვენ, ქართველ მოქალაქეებს. ამ ვაჟბატონების უვიცობა და გაუგებრობა იმდენად სამწუხარო არ იქნებოდა, რომ ეგრეედ წოდებული ინტელიგენტური ნაწილი (რასაკვირველია, ყველანი არა) უნებლიეთ ხელს არ უწყობდეს ამ გაუგებრობას. იმის მაგიერ, რომ დიდებული მოვლენა ახსნან, როგორც აუცილებლობა, ისინი ხელს აფარებენ და გაიძახიან, რომ გლეხ-კაცობის მთელი მოძრაობა ორი-სამი „მავნე“ კაცის საქმეაო. თითქმის ისე გამოდის, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა ყოველ მხრივ კმაყოფილია, სანატრელი არც კი რამე აქვს, მაგრამ „მავნე“ კაცებმა დაუპირდაპირეს მემამულეთ და გამოაცხადებინეს ომი. ასეთი უცნაური ახსნა გლეხ-კაცობის მოძრაობისა არავისთვის საინტერესო არც კი იქნებოდა, როგორც კერძო პირის შეხედულება, რომ შედეგად ამ ახსნას არ მოჰყვებოდეს მეტად სამწუხარო განმარტება.

მართლაც, თუ კი გლეხ-კაცობის მოძრაობას ღრმა მიზეზები არა აქვს ცხოვრებაში, თავად-აზნაურობა ვერ დააფასებს შესაფერად ამ მოძრაობას და ღონის-ძიებანი, რომელსაც მიჰმართავს იგი, ვერ დააკმაყოფილებს გლეხ-კაცობას, პირიქით გამოიწვევს უფრო მეტ გამწვავებას ურთიერთ დამოკიდებულებაში. თავად-აზნაურობა უნდა დარწმუნდეს, რომ გლეხ-კაცობის მოძრაობის დაშოშმინება შეიძლება მხოლოდ მათის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, და მას ვერც „შტიკი“ და ვერც მუქარა „ომის გამოცხადებისა“ ვერ შეაჩერებს. თავად-აზნაურობა უნდა დარწმუნდეს, რომ გლეხობის მოძრაობას ბევრი ღრმა მიზეზი აქვს, რომ უკმაყოფილება საფუძვლიანია, რადგან მთელი საუკუნე გლეხობის როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრება ანორმალურ კალაპოტში იყო ჩაყენებული; უკმაყოფილება მთელი საუკუნე იზრდებოდა და დღეს აბობოქრებულ ზვირთად მოედო მთელს საქართველოს. გლეხთა მოძრაობა გამოწვეულია არა მარტო ეკონომიურ შევიწროებით, თუმცა ეს შევიწროებაც თავის თავად საკმარისია, რომ გლეხებს უკეთესი მდგომარეობა მოეძებნათ. ჩვენის გლეხ-კაცის მატერიალური დაქვეითება ზოგად ცნებად გადაიქცა და, თუმცა ჩვენში მოიძებნებიან ინტელიგენტები, რომელნიც სერიოზულად, საჯაროდ ამტკიცებენ, რომ დღევანდელი ეკონომიური კეთილდღეობა გლეხებისა უკეთესია, ვიდრე თავად-აზნაურობისაო, ეჭვი არავის აქვს გლეხების მატერიალურ უკიდურეს დაბეჩავებისა. და თუნდაც ეჭვი ვისმეს ჰქონდეს, სტატისტიკური ცნობანი, შეკრებილი ქართლის სხვა-და-სხვა სოფლებში ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, მაგ ეჭვსაც გააქარწყლებენ.

გლეხთა მოძრაობის დამახასიათებელი ის არის, რომ მიზეზი მოძრაობისა მარტო ეკონომიური არ არის, თორემ მათ მოთხოვნილებებს მარტო ეკონომიური, ანუ უკედ, აგრარული ხასიათი ექნებოდა. მოძრაობას საფუძვლად უდევს მთელ სახელმწიფოს წესწყობილება, რომელმაც ჩვენში უფრო განსაკუთრებული ელფერი მიიღო. ხალხი განვითარდა, შეიგნო სწავლის საჭიროება, და მას მართალ ცოდნის მაგიერად აწვდიან წერა-კითხვას პოლიტიკურ მოსაზრებით შეზავებულს; ხალხმა კარგად შეიგნო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო საექიმო ქსენონს სოფლის ჯან-მრთელობისთვის, თხოულობს ექიმის დახმარებას; მას კი აწვდიან საექიმო ქსენონს, სადაც ან ექიმი არ არის მთელის წლობით ან წამალი არ მოიძებნება. ცხოვრება გართულდა, ყველა მშრომელ ხალხის ნაოფლარით სარგებლობს, ხალხი თხოულობს თავისს უფლებების დაცვას; მას კი აწვდიან გაუთავებელ წოწიალს ერთის სასამართლოდან მეორეში, და სხვა ათასი ამგვარი.

ერთის სიტყვით, საქართველოს გლეხების მოძრაობის მიზეზი იგივეა, რაც მთელის რუსეთის მშრომელ ხალხის მოძრაობის მიზეზია, მხოლოდ უფრო მედგარი და გამწვავებული, უფრო შეგნებული და გამორკვეული. ეს დასკვნა კარგად უნდა შეიგნოს თავად-აზნაურობამ, რომ კეთილ-სვინიდისიერად მოეკიდოს საქმეს და საქართველოს მომავალ ბედს გაუწიოს საჭირო სამსახური. მხოლოდ მაშინ, როცა თავად-აზნაურობა შეიგნებს და გაითვალისწინებს მოძრაობის ნიადაგს, საჭირო წამალსაც გამოსძებნის. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი მომავალი მშრომელ ხალხის კეთილდღეობაზე არის დამყარებული; დღეს დადგა იშვიათი ისტორიული მომენტი რუსის სახელმწიფო ცხოვრებაში; დიდი შეცდომა, მიუტევებელი ცოდვა იქნება, თუ ხალხის საკეთილდღეოდ ამ მომენტით არ ვისარგებლეთ. ეს უნდა გვახსოვდეს და ამ მოსაზრებით უნდა ვაფასებდეთ გლეხთა სოციალურ მოძრაობას.

სამწუხაროდ, თავად-აზნაურობის უმრავლესობა ასე არ უყურებს საქმეს, რაც, რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო. მხოლოდ შეგნებულმა ნაწილმა უნდა იქონიოს გავლენა და საქმეს სასურველად მოუაროს. დასასრულ ვისურვებ, რომ სამწუხარო გაუგებრობამ არ წაახდინოს საქმე და ჩვენის ისტორიის წინაშე დამნაშავის ადგილზე არ დაგვსვას.

ვ. მუსხელიშვილი.

მუხრანის, ბაზალეთის და მცხეთის სამამასახლისო 5 ამ თვეს შეიკრიბა ს. მუხრანში, რომ თავისი მოთხოვნანი წარედგინა თავ. ლ. ჯანდიერისა და ბ-ნ ვეიდენბაუმისათვის, რომელნიც მთავრობამ გაგზავნა ქართლში საგლეხო საქმის გამოსაძიებლად. თავ. ჯანდიერმა უკვე წარუდგინა მოხსენება მთავრობას. ამ მოხსენებაში აღნიშნულია შემდეგი მუხლები: 1. სასოფლო საზოგადოების რაიონის შემცირება: ყოველ სოფელს თავისი არჩეული დეპუტატები უნდა ჰყავდეს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების საბოლოო გა-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

სოფლის ამბები.—მემამულეთა კრებები.—კიდევ სკოლაზე და მშობლებზე.—კავკასიელების სოლიდარობა.

გურიის ამბები გაბატონდნენ ჩვენს ცხოვრებაში და ყველა მათ შესახებ ლაპარაკობს დღეს. გურია აკერია ყველას ენაზე, მტერსაც და მოყვარესაც გურიისაკენ აქვს მიქცეული ყურადღება, გურიამ გაუკეთა სახელი ქართველს ერს და ვინც წინად ზიზღით და დაცინვით დაუყურებდა მაღლიდან ჩვენს ხალხს, დღეს იგი პატივისცემით გვეპყრობა და იძულებულია აღიაროს, რომ დიდი შემოქმედებითი ძალა და ნიჭი ყოფილა შენახული ქართველ ერში. ქალაქში რომ მოძრაობა იყო, ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ამ მცირე ჯგუფის ხმას რა ძალა ექნებაო, მაგრამ სრულიად შეიცვალეს აზრი, როდესაც გამოიღვიძა სოფელმა და გამოაცხადა თავისი თავი ნამდვილ მოქალაქედ და ადამიანად. აქ უკვე ეჭვი აღარ იყო, რომ წინ წამოდგა რეალური, ძლიერი ძალა, რომელიც ბევრის მეტყველია თავის დემოკრატიულ მიმართულებით. პოლიტიკურმა, ეკონომიურმა, სოციალურმა საკითხმა—ყველამ თავი მოიყარა ამ ერთს მოძრაობაში და რაც წინად გამოურკვეველი, თავსამტვრევი, საჭირბოროტო საგანი იყო, მარტივად და უბრალოდ გადაწყდა ხალხურ მოძრაობაში. ყოველი სხვა საკითხი გადაწყვეტილია, როდესაც შენს წინ ასეთი გონიერი, მოქმედი და სოციალური ხალხია. არავითარს შიშს და პესიმიზმს ადგილი აღარა აქვს ამის შემდეგ. რაც უნდა შეემთხვეს ამ ხალხს, რაც უნდა ძალმომრეობა იხმარონ მის წინააღმდეგ, იგი მაინც გამარჯვებული იქნება, გამარჯვებული იქნება უკელაზე უწინარეს იმით, რომ შეიგნო თავისი ადამიანობა, შეიგნო უფლება და გამოვიდა საბრძოლველად ამ უფლებისათვის!

რაც გურიაშია, ისე ხდება ბოლო დროს სამეგრელოსა და იმერეთში, იწყება ქართლსა და კახეთში. ყველგან თხოულობენ გლეხები პურს, სამართალს და თავისუფლებას, თხოულობენ იმიტომ, რომ აღარ შეუძლიათ აიტანონ დღევანდელი ცხოვრება; ისე არავის არ სჩაგრავდა ეს ცხოვრება, როგორც მიწის მუშებს: ყველაზე მეტს მუშაობდა გლეხი, ყველაზე უფრო მშიერი იყო გლეხი, ყველაზე მეტს იხდიდა გლეხი სახელმწიფოსთვის, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლებად ემსახურებოდა მას. ყველგან უზომოდ გაჭირვებულია გლეხი და უკიდურეს მდგომარეობამდეა მისული. „მეტის მოთმენა აღარ შეუძლიათ“, გამოკვნია ბევრის გლეხისაგან, და მართლაც მეტის მოთმენა ყოვლად მოუხერხებელია მისთვის, რადგან მეტის მოთმენა ნიშნავს სრულს მოსპობას. აქ არავისი ჩაგონება და წაქეზება არ ესაჭიროება სოფლის მუშას: მისი მდგომარეობა თავისთავად მეტისმეტად მძიმე და აუტანელია, და სრულიად უგრძნობი და უგნური უნდა იყოს გლეხი კაცი, რომ არ იგრძნოს თავისი ტანჯვა-მწუხარება.

განა ყველგან საზოგადო მოვლენა არ არის დღეს, რასაც მოგვითხრობს ერთი კორესპონდენტი რაჭის შესახებ? „რაჭველი კაცი, გვწერს კორესპონდენტი, ისეთს მდგომარეობაში არასოდეს არ ყოფილა, როგორშიაც არის ახლა. ეს მდგომარეობა უფრო და უფრო ძლიერდება და უარესდება. ვისაც შეუძლიან, ქალაქში გარბას: მაგრამ ბევრი ვერ ახერხებს ამას და საშინელ სიღარიბეში ლევს თავს დღეებს. დოხ, მიდიან ქალაქებისკენ, ეგება სამუშაო ვიშოვნოთ და თავი ვირჩინოთო. რაჭველ გლეხს სიღარიბეს ხელს უწყობს ათასგვარი გადასახადი. რა აქვს, რა გადაიხადოს? ერთს სოფელში ფულის მკრეფელმა ვერა გაწყო-რა, მაშინ მამასახლისი წავიდა, რომ გლეხები ჭკუაზე მოიყვანა. წავიდა, მაგრამ საშინელი სურათი გადაეშალა თვალწინ. ბევრს გლეხს სარჩო სრულებით აღარა ჰქონდა. კაცები სადღაც წასულიყვნენ სიმინდის საშოვრად, ქალები ორი-სამი დღის მშიერები მოთქმულად ცეცხლს მისხდომოდნენ და ბავშვები, შიმშილითვე გულშეწუხებულნი, შესტიროდნენ მათ: რამე გვაჭამეთო! ადამიანი არ უნდა იყო და გულის მაგიერ ქვა უნდა გქონდეს, რომ ასეთი სურათი ნახო და ეს ტანჯული ხალხი არ შეიბრალო. ასე გასინჯეთ, მამასახლისსაც-კი შეებრალა გლეხები და ფულის გადახდევინების ნაცვლად ერთს უფრო გაჭირვებულ ოჯახს ცოტაოდენი ფქვილიც უყიდა. ბევრმა ვეღარ გაუძლო ასეთს გაჭირვებას და ქურდობას მიჰყო ხელი. რაჭველს თუ რამე საქებარი ჰქონდა, ის იყო, ქურდობას ვერ გაიგებდნენ. მაგრამ გაჭირვებამ ესეც დააწყებინა“...

ამ სურათის შესაფერად მოვიყვან ერთს ადგილს ბ. მაღაქაშვილის საინტერესო მოთხრობიდან („ლუკმა პურისათვის“, მოამბე 1904, № 12), რომელიც მშვენივრად ახასიათებს იმერეთის გლეხების ცხოვრებას.

„ჩვენ საწყლებს უაჯი მაინც გვქონდა წრეულს, ეგება ერთი ორი კაპეიკი ეგდო და სიმინდს რო ვეიდულობთ ამდენი ხანია, შეტერა რამეს შეგვეშველებოდა,—უთხრა კვირიკობისთვეში მატამ ქმარს.

— „მაშინ დეიქცა ჩვენთვის ყველაფერი... დასწყევლოს და ამოაგდოს ღმერთმა, რაცხა ორი მანეთი უნდოდა თესლის ფიდვას, ვერ ვიშოვნეთ და ქე დავრჩით და... ახლა როცა სხვებმა მეიწიეს და ფულები ეიღეს, ქე გვწყდება გული, მარა რა, აწი გვიანაა,—თქვა უიმედოდ იოსებმა და განაგრძო: უშადობიდან წროუნდელზე უარესი გაისათ დაგვემართება... ხომ ხედავ, ხან ნოტიომ და ხან გვალვამ ყანები შუაზე გაგვიყო, რაცხა პეტერე გვქონდა რომელიცხეა, იმის ნახევარსაც არდგილის პატრონი წეიღებს და ჩვენ, რო იტყვიან, დორის წესს ლორის კუდიც არაო, ისე დაგვემართება. რამდონი სიმინდი კიდო ქე ვიყიდეთ წელს? იმის ვალებს რა უყოთ? აგერ რვა სულის სარჩენს ორი თვე ნახევარია სულ ვეიდულობთ. ოცი მანათის სიმინდი არ გვეყოფინა. ისე კიდო ქე ვისესხეთ... სამი თუმანი შარმანდელი ლევლის ვალი გვაქ გადასახდელი... ხუთ მანეთს სარგებელს კიდო ქე გვახდევინებს ეს სულ-კატიანი...

— „ნამარიობებიზა მაინც შამოგვეწიოს ეგება გზის სიმინდმა და რამე ნაირათ გახმით, უთხრა იოსებს ცოლმა.

— ნამარიობებიზა არა და ეკენისთვეში ქე შამოვა, მარა საგაისოთ რა გვეშველება და რა ვქნათ, სად წევიდეთ? თუ დიდ მარხვამდე წროუნდელი სიმიდე გვეყოფა, ყურებს დევიჭრი.

—„რა ვქნათ მერე!.. რა უყოთ! ღმერთო, დიდება მის სახელს, არ დაგვტოვებს შიმშილით მის გაჩენილებს,—დაიმედა თავი მატამ.—

„ვაიო, კაი შეგვესვენა ეს ხილი, თუ მეტევე! ნახევარ შიმშილს ფსხალით და ვაშლით ილვავენ ბალღები,—შენიშნა იოსებმა.—კი მარა მანგიორათ ცეება რას უშობა საწყლებს! რაცა შუაზე გაუდ უბედურები, ხო ხედავ...“

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია გლეხი, როგორც იმერეთში, ისე ქართლსა და კახეთშიც. ღობით და პური ან მჭადი ერთად ერთი მისი საზრდო და ისიც არ მოეპოვება საკმაოდ. წელებზე ფეხს ადგამს, დღე და ღამ მწარე ოფლსა ღვრის და ისთვის მაინც არ არსებობს ლუკმა პური! ჩვენს მემამულე თავად-აზნაურებს-კი ჰგონიათ, რომ ყველაფერი გლეხს ჩაგონებული აქვს გარეშე, მავნე პირებისაგან: უგანასკნელებმა ჩააგონეს გლეხს შიმშილი, თორემ გლეხს არ შიათ; ჩააგონეს, რომ სიმინდი და პური არა აქვს, არა აქვს მიწა-წყალი, სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ულეტავს, სახლი არ უვარგა და კარი, ვერ მოუპოვებია ვერსად სამართალი და კანონი, ყველასაგან იჩაგრება და ყველა ფეხით სთელავს; ჩააგონეს, რომ გლეხს შვილები ციებისაგან უკვდება, თორემ ნამდვილად-კი არ უკვდება; ჩააგონეს, რომ პური აღარა აქვს და ხილით იკვებება ნახევარჯერ.

განა ამაზე შორს წავა ადამიანის თავხედობა? ვის ჰგონია, რომ შეიძლება შიმშილის და სიკვდილის ჩაგონება! ბატონებო, გლეხს მართლა შია და ამიტომ კვნესის და ყვირის! გლეხი კვდება იმიტომ, რომ არა აქვს-რა, რომ თავს მოუაროს და უპატრონოს! გლეხს არ ესაჭიროება შიმშილის და სიკვდილის ჩაგონება! და თუ გგონიათ, რომ ასეთი ძალა აქვს ჩაგონებას, ჩააგონეთ ერთი თქვენს თავს, რომ უუბედნიერესი და უმდიდრესი ადამიანები ხართ, და იყავით მოსვენებით. მაგრამ, რასაკვირველია, არა გწამთ ეს! არა გწამთ ჩაგონებული ბედნიერება, სამაგიეროდ გწამთ ჩაგონებული უბედურება? იმიტომ, რომ ეს სხვისი უბედურებაა და არა თქვენი საკუთარი? ნუ გგონიათ ისე, რომ

საწყვეტად; თუ სხვა წოდებაც მოისურ- ს სოფლის საზოგადოებაში შესვლას, საზოგადოების წევრობის უფლებას იძენს. გლეხის წოდებას უნდა გადაეცეს ლი საადგილ-მამულო საკუთრება, რო- ც კი სოფლის ტერიტორიაზე იმყოფე- . სახნავ მიწაში დესეტინაზე გლეხი იხ- ს ხაზინის სასარგებლოდ 10 კაპ.; საძო- რი და ტყე უფასოა. 3. მღვდელი იღებს ლს გლეხების მიერ შემოღებულ ნიხრის ედვით. 4. თავისუფალი და უცენზურო ლიოთეკები. 5. ჯარში გაყვანილი ახალ- დანი ამიერ-კავკასიის ჯარებში უნდა იქ- განაწილებულნი. 6. სკოლები უნდა ხნას როგორც სახელმწიფოს, ისე სო- ის ხარჯზედაც, უთუოდ სამეურნეო გა- ფილებით; სწავლება ქართულად უნდა ეს და ნაწილად რუსულადაც. 7. აქცი- მოსპობა. 8. წერის თავისუფლება. 9. აც რუსები კარგს მიიღებენ, ჩვენც იგი- მოგვეცეს.

—

ქუთაისის გუბერნიაში დღემდე **დაუწვავთ** ქვსმეტი სასოფლო კანცელარია, თავის ქეებით. შორაპნის მაზრაში დამწვარა რა, სენაკისაში—ხუთი და ზუგდიდისაში ორი. ბევრგან სხვაგან სოფლელით დაუ- ნიათ კანცელარიები და მოხელეებისა- ს ძალა დაუტანებიათ სამსახურიდან წა- ლიყვნენ.

—

აფხაზეთი. ჩვენსკენ დიდი მოძრაობაა. —6 მარტს დასწვეს ს. ზვანდრუფშისა და ურფშის (ორივე გუდაუთის ნაწილშია) მინისტრო და სამრევლო სკოლა. ს. ლი- ნის სკოლის ფანჯრები ჩალეწილია. სოფ. ისა და ლიხნის აფხაზებსა და აქ ჩასა- ებულ რუსებ შორის უთანხმოება ატე- ლა. 6 ამ თვეს მოვიდა ოლქის უფროსის ნაშემწე, რომელმაც გამოუცხადა აფხა- ებს, თუ არ დაწყნარდით, თითო ორ- ლად სხვა-და-სხვა სოფლებში გაგანაწილე- თო. აფხაზები თხოულობენ, ზაფხულობით ქონელი უწყლობით გვეხოცება, მოგვე- ს გზა თავისუფლად გავრეკოთ მდინარე- ო. რუსები არ დასთანხმდნენ. საქმე ისევ მწვავებულია.

—

სამურზაყანო. 25 თებერვალს მოჰკლეს ევოლვერით აჩიურ ორ-კლასიან სკოლის ედამხედველი ცნობილი ბორის ხორავა. . ჭუბურხინჯში დასწვეს საეკკლესიო კოლა. სოფ. გალში ორ-კლასიანი სკო- ა დაკეტილია. ერთი მასწავლებელი და- რილია ფეხში.

—

სოფელ ქარელში, როგორც გვატყო- ნებენ, 11 მარტს თავ. ციციშვილების სა- აჭრო კანტორისათვის ცეცხლი წაუკიდე- იათ და გადაუწვავთ.

—

სოფ. დილომშიაც გაფიცულა გლეხობა თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში გა- ზავნა 15 საერობო დარაჯი მოსალოდ- ნელ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად.

—

სოფ. რუისი (ქართლი). საზოგადოებამ 11 მარტს, დილით, ჩალეწა სასოფლო სასამართლო, სკოლა, მღვდლის შენობა და ეგრედ წოდებული უკულმა წისქვილები.

—

როგორც ხევსურეთიდან გვატყობინებენ, ხევსურებს ამ დღეებში ყრილობა ჰქონიათ თავიანთი საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად. ხევსურებს შემდეგი დაუდგენიათ: 1. მიწის თანასწორათ მფლობელობა, რადგან მიწის მფლობელობა ძლიერ უთანასწოროდ სწარმოებს ხევსურეთში, და ამის მოსაწესრიგებლად კაცების არჩევაა საჭირო (ე. ი. კომისიისა); 2. ტყის თავისუფლად სარგებლობა; 3. ზოგიერთ გადასახადთა შემცირება; 4. ჯარში გაწვეულ ხევსურების ან დუშეთის ან თელავის ჯარში ჩარიცხვა, რადგან რუსეთის ჰავას და წყალს ვერ იტანენ ხევსურნი და იხოცებიანო.

11 მარტს ღამე **გორიდან საჩქაროდ გაიგზავნა** სად. ქარელში ერთი როტა ჯარი ნოვობაიზეთის პოლკისა და ორი აფიცერი.

გურიის ამბები

—

დეპუტატთა*) წრიდან გამოვიდა ერთი გლეხი და უამბო კრიმ-გირეის, სხვათა შორის, მეც ვიყავი დაჭერილი და ვერ წარმოიდგენთ, რა გამწარება გამოვიარე, სანამ ქუთაისს მივიდოდით; როგორც პირუტყვებს, ისე გვცემდნენო. ქუთაისში ერთ წყებათ სალდათები შემოგვერტყნენ და მეორე წყებათ კაზაკები და ისე წაგვიყვანეს ქუჩა-ქუჩა. ერთ ადგილას წუმპო შეგვხვდა წელამდის საფლობი ადგილი: მე და ჩემ ამხანაგებს გვინდოდა გვერდი გვექნა და შეგვეცილებია ფეხი ამ ადგილისათვის; კაზაკებმა მათრახები გვიცხუნეს და პირდაპირ ამ წუმპეში შეგვრეკეს. ციხეში ოთხი თვე ვიყავი დამწყვდეული. ჩვენს ამბავს არავინ არ კითხულობდა. ზოგიერთი ჩვენგანი ჟანდარმებს გადასცეს და გადაასახლეს.

— ნუ თუ პროკურორს არ უცხადებდით საჩივარს, როცა მოდიოდა სატუსაღოში? — ჰკითხა დეპუტატს კრიმ-გირეიმ.

— როგორ არა, მხოლოდ იმას ჩვენი საჩივარი უსათუოდ ჩქარა ავიწყდებოდა; ხანდისხან იმას გვკითხავდა, პური და ტანისამოსი ხომ არ გაკლიათო. სახელმწიფო საცვლებს არ გვაძლევდნენ, სახლიდან წამოღებულიც შემოგვაცვდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. გუბერნატორიც გვეწვია ციხეში და ვკითხეთ, რომ რა მიზეზი იყო ასე უბრალოდ და უკანონოდ რომ დაგვიჭირა. გუბერნატორმა არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია.

სულ ოცდაორი კაცი ვიყავით. ჩვენ შორის ერთი გადაასახლეს, ერთი ჩვენი ამხანაგი მხოლოდ იმ დროს განთავისუფლეს, როცა იგი ავადმყოფობის გამო თითქმის ცოცხალ-მკვდარი იყო: დღეები დათვლილი ჰქონდა. შინ რომ დაბრუნდა, ერთი კვირა აღარ უცოცხლია და გარდაიცვალა. დანარჩენები ოთხ თვეს ვიყავით ციხეში. შემდეგ კიდევ სამი კაცი გადაასახლეს რუსეთში ჩვენი სოფლიდან. ოჯახებში ჯარი ჩაგვიყენეს; გამოგვყარეს ჩვენი სახლიდან. დაგვავალეს გვეძლია მათთვის ნავთი, შეშა, ფურნე და საბალახო. ჯარი სამთვენახევარი იდგა სოფელში. სულ ორას სამოცდა თოთხმეტი მანეთი დაგვედვა ვალი ამ ჯარის მიზეზით. მალე ისევე ჩამობრძანდა გუბერნატორი და გვითხრა, მიეცით თუ არა დრამის ფული მღვდლებს და მემამულეებს თუ შეუთანხმდითო. ჩვენ ვუთხარით, რომ მღვდლებმა დაგვითმეს დრამის ფული. გუბერნატორმა მღვდლები დაიბარა თავისთან მოსალაპარაკებლად. არ ვიცით, რა უთხრა ჩვენმა სულიერმა მამებმა გუბერნატორს, ის კი კარგად ვიცით, რომ სანამ გუბერნატორთან მივიდოდნენ, გვითმობდნენ დრამის ფულს, მერე კი, იქიდან რომ გამოვიდნენ, უარი გვითხრეს. ალბათ, გუბერნატორმა ჩააგონა ამ ნაირი მოქმედება. ერთმა აქაურმა მემამულემ, ივანე მაჭუტაძემ, სიტყვა მოგვცა, რომ ძველის, ჩვენთვის ხელსაყრელ პირობით დაგვითმობდა ადგილებს, გუბერნატორმა პირდაპირ გამოუცხადა მაჭუტაძეს: არ შეიძლება ამ პირობით ადგილის გაცემაო. აგრეთვე მღვდლებსაც უთხრა: დრამა ფული ძალად გადაახდევინეთ ხალხსაო. ჩვენ შემდეგი სიტყვებით მოგვმართა გუბერნატორმა: — „კარგად ვიცით, რომ თქვენში მავნე კაცები ბუდობენ; მოგვეცით ისინი და ყველანი თავისუფალნი იქნებით. ამ ჩემ მოთხოვნილებას თუ არ ამისრულებთ, ისეთ ეგზეკუციას ჩაგიყენებთ, რომ ძირიან-ბუდიანად აგაწიოკებთო.“ მოგვთხოვა ხუთი კაცი. — „ამ კაცებმა უნდა მიგვაგნებინოს ის პირები, რომლებმაც ამ გზაზე დაგაყენათ და გადაგრიათო.“ ბოლოს გამოგვიცხადა: „ხუთი წუთი დრო მომიცია თქვენთვის მოსაფიქრებლად; — თუ ამ ხუთ წუთში არ ამოირჩევთ კაცებს, ეგზეკუციას ჩაგიყენებთო.“ რა მოლაპარაკება შეიძლებოდა ხუთ წუთში? ბოლოს გამოვუცხადეთ გუბერნატორს, რომ ჩვენ მავნე კაცი არავინ არ გვყავს და არავის გაცემა არ შეგვიძლიანო. მაშინ გამოვიდა ბოქაული, წაიკითხა სახელის და გვარის სია და უბრძანა სტრაჟნიკებს, ესა და ეს კაცები დაიჭირეთ და გამოიყვანეთ, რადგან თვით ხალხმა არ წარმოადგინაო. დაიჭირეს ხუთი კაცი და მეექვსეც ჩაიგდეს ხელში მხოლოდ იმიტომ, რომ მან წამოიძახა, „რა დანაშაული გვაქვს, რაზედ გვაწვალებთო.“ ეს ექვსი კაცი ოზურგეთის სატუსაღოში გაგზავნეს, სადაც ერთ თვეს ამყოფეს,; ორი დღის შემდეგ მტრებსავით დაგვესივნენ მთავრობის მოხელენი, აგვიწერეს და წაგვართვეს დრამის ფულში მთელი ჩვენ, საცხოვრებელი. გვართმევდნენ კარდლებსი როცა შიგ ლობიო იხარშებოდა; ბეჭდები წაგლიჯეს თითებიდან ჩვენ ქალებს, წაგვართვეს ლეიბები, საბნები,—სუმთლად აგვაწიოკეს. ორი დღე ითარეშა პრისტავმა გუბერნატორის წასვლის შემდეგ. ჩვენდა დასარბევად ეხლა მამასახლისი, თორმეტი სტრაჟნიკი და ორმოცი სალდათი. ყველა ეს 1902 წელს მოხდა. ჩვენი დამრბევი იყო პრისტავი ქელბაქიანი. ოჯახს რომ მიესეოდნენ, სახლის პატრონს არაფერს არ ჰკითხავდნენ: პირდაპირ ზანდუკებთან მიდიოდნენ სტრაჟნიკები, აღებდნენ და მიჰქონდათ იქიდან ყველაფერი. ოც-ორმოც მანეთად ღირებული ნივთები ერთ-ორმანათის ვალში აგვიწერეს. ნასესხები ფულით დავიხსენით ჩვენგან წართმეული ნივთები და კისრამდე ვალში ჩავეფალით. მთელი ჩვენი საზოგადოება დაარბია ამნაირად პოლიციამ. დაგვიყენეს მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი, რომელსაც 400 მან. ჯამაგირი დაუნიშნეს. მამასახლისმა ფული შეგვიჭამა; ლოთობდა. ერთხელ სიმთვრალეში ქუჩაში გამოვარდა, დაიწყო რევოლვერის სროლა და კინაღამ დასწყვიტა ხალხი. ყვიროდა, „მთავრობის დანიშნული ვარ და რაც მინდა, იმას გიზამთო“. დაითხოვეს ეს ვაჟბატონი, სხვა დაგვიყენეს, რომელიც კიდევ უარესად იქცეოდა. დიდი სიმძლავრე გამოიჩინა. ესეც ყვიროდა, მთავრობის კაცი ვარო; ქურდულად სჭამდა ჩვენში აკრეფილ გადასახადს, ბანქოს თამაშობდა და ლოთობდა. როცა დაგვიყენა, მთავრობამ გამოგვიცხადა, „ეს თქვენი ახალი მამასახლისია და გვარად თუთბერიძეაო და როცა დაითხოვა, ჩვენვე გვკითხა, ვინ იყო და სადაურიო?“ 1904 წელს გამოგვიგზავნეს ახალი მამასახლისი კეკელია, რომელსაც, ალბად, პოლიციის ჩაგონებით, ვიღაც ამ დაარტყა კეკელია ისე გაიპარა, რომ ჩვენ არ შეგვიტყვია. მოვიდა შემდეგ ლანჩხუთის ბოქაული ქავთარაძე. შეგვყარა და შემოგვძახა, „არა გამარჯობა თქვენი, როცა თქვენ სისხლს დავაქცევ, ჩემი დღესასწაული მაშინ იქნებაო.“ გაგვლანძღა, უშვერი სიტყვებით გაგვათრია და გაგვაგდო.

1903 წელს, ივნისის გასულს, როცა ყანები უკვე დამუშავებული გვქონდა, მაზრის უფროსი ჯაფარიძე გვეწვია, შეგვყარა ერთად და გვკითხა, რატომ არ მუშაობთ მემამულე მაჭუტაძეების ადგილებშიო. არ არის ჩვენთვის სასარგებლო და იმიტომ არ ვმუშაობთო, — ვუპასუხეთ. ჩვენი კრების ახლოს ერთი პალტოიანი ვაჟარი კაცი იდგა ჩუმად. არ ვიცით, რატომ არ მოეწონა ეს კაცი ჯაფარიძეს, ალბათ, პალტო რომ ეცვა ბუნტის თავი ეგონა. უბრძანა სტრაჟნიკს დაჰკარ მათრახი და გააგდეო. სტრაჟნიკმა, რასაკვირველია, იფრინა და ასი საჟენის სიშორეზე სდია მათრახისა და თოფის კონდახის ცემით. მერე ჩვენ დაგვერია ჯაფარიძე და ორი ჩვენი ამხანაგი გაამათრახა. შემოგვიყვირა, — თუ არ ჩახვალთ მაჭუტაძის ყანებში, მრთელ საზოგადოებას გაგამათრახებთ და გადაგასახლებთო. იმდენი ძალა დაგვატანა, რომ გვამუშავა მაჭუტაძის ადგილებში, ისე დაგვიანებული დრო იყო, რომ ვერც ჩვენი და ვერც მემამულეს ადგილები რიგიანად ვერ დავიმუშავეთ. შემდეგ 1904 წ. ჩვენი პირობები გამოუცხადეთ მემამულეებს. ამდენი წვალება გადავიტანეთ და ეხლა ვითხოვთ მოგვეცეს გაფიცვის თავისუფლება, რადგან ჩვენ ადამიანები და არა პირუტყვები ვართო.

ამ სიტყვებით დაასრულა ხალხის წარმომადგენელმა ნიგოითლების თავგადასავალი გულის ამღვრევი მოთხრობა. შემდეგ დეპუტატებმა გამოუცხადეს კრიმ-გირეის დასაბუთებული მოთხოვნილებანი გურიის ყველა საზოგადოებათა. **ი. ნაკაშიძე.**

ახალი ამბავი

—

◆ ტფილისის გუბერნატორმა, უმაღლესად დამტკიცებულ წესდების თანახმად, მიწერილობანი დაუგზავნა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუა-მავლებს და აცნობა, რომ 1905 წლის 1 იანვრიდან ტფილისის გუბერნიის სოფლის **საზოგადოებებში შეკრებილ თანხებისა და საზოგადო ბეღლების** საქმის მართვა-გამგეობა გადადის საზოგადოებათა ხელშიო. მაზრის უფროსებს ამ თანხებისა და ხორბლის ბეღლების შესახებ ანგარიში წარუდგენიათ 1904 წლის 1 იანვრამდე. მომრიგებელმა შუამავლებმა უნდა შეამოწმონ რაოდენობა თანხების და ხორბლისა. გუბერნატორი შუა-მავლებს ავალებს აგრეთვე, მოაწყონ საქმე ისე, რომ თითოეულმა სოფელმა ცალკე აწარმოვოს თანხების საქმე. თუ სოფლები ამას არ მოისურვებენ, უნდა ეცნობოს საგლეხო საქმეთა საკრებულოს. თანხის პატრონმა სოფელმა უნდა შეადგინოს სია საზოგადო თანხის მონაწილე წევრთა. თუ ვინიცობაა გლეხობა მოხერხებულ ადგილას ვერ ინახავს ხორბლეულობას, შეუძლიან ფულად აქციოს.

◆ ფოთში, როგორც იქიდან გვწერენ, არც ერთი ვაგონი **მარგანეცი აღარ მოდის თურმე** ჭიათურიდან და როდის განაახლებენ მარგანეცის ზიდვას, არ იციან, რადგან მარგანეცის საზიდი ვაგონები ისეა გაჩერებული.

◆ როგორც კარაკლისიდან გვწერენ, იქ თერთმეტს მარტს ლიანდაგის მეცამეტე ნაწილის **მუშებს თავი მოუყრიათ,** მისულან ინჟენერთან და უთხოვნიათ, დღიურ მუშებს დღიური ფასი მანეთი დაუნიშნეთ, ხოლო თვიურებს —თვეში ოცდა ხუთი მანეთიო. ამის შემდეგ ყველანი დაშლილან.

◆ როგორც „კავ.“-შია გამოცხადებული, მთავარ-მართებლის თანამ. აღმასრულებელის ნება-რთვით, **დაიხურა ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის** მე-5, 6, 7 და 8 კლასი და რეალურ სასწავლებლის მე-5, 6 და 7 კლასი. ამ კლასების მოსწავლენი დათხოვნილ იქნენ. სწავლა მოსამზადებელ და პირველ ოთხ კლასში დროებით შეჩერებულიაო.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მოწერილობა დაუგზავნა მაზრის უფროსებსა და მომრიგებელ-შუამავალთ და წინადადება მისცა, **განუმარტონ გლეხობას,** რომ სასოფლო თანხები შეუძლიანთ მოიხმარონ სამეურნეო იარაღისა და ვაზის სამკურნალო წამლების შესაძენად.

◆ ბ-ნ ანდრია ღულაძეს ნება დაერთო გამოსცეს ქართულად ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო **გაზეთი „ნობათი“.** გაზეთის სრული პროგრამა ექნება.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა, საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, **დეპეშა გაუგზავნა** შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა ნება მიეცეს კავკასიის მცხოვრებთ თავიანთი წარმომადგენლები იყოლიონ მინისტრის თავმჯდომარეობით მოწვეულ კომისიაში.

◆ ბატონ-ყმობის გადავარდნის დღიდან კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიასთან არსებული **განსაკუთრებული კომისია,** რომელსაც მინდობილი ჰქონდა კავკასიაში საძოვარ ადგილების საქმის მართვა-გამგეობა, როგორც ნამდვილად გავიგეთ, სამუდამოდ უქმდება.

◆ 9 მარტს ბათუმში **არ გამოსულა გაზეთი „ჩერნ. ვესტ.“** როგორც რედაქცია აცხადებს და ჩვენც ვწერდით, ამ დღეს სტამბები და სავაჭრო დაწესებულებები დაკეტილი იყო. სასწავლებლებშიაც სწავლა არა ყოფილა.

◆ სოფ. ავჭალის **მცხოვრებთ თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ** ქალაქ ტფილისის თვით-მმართველობისათვის. როგორც ვიცით, ქალაქს ავჭალაში წყლის მილის მოწყობილებანი აქვს, სადაც ხშირად ბევრი სამუშაო ხოლმე. წყლის მილის გამგეებს, როდესაც სამუშაო იყო, ქალაქიდან მიჰყავდათ თურმე მუშები და ადგილობრივ მცხოვრებთ არ ამუშავებდნენ. ეხლა ავჭალელნი თხოულობენ, უსათუოდ ჩვენ გვამუშავეთო. ამას გარდა გლეხები თხოულობენ, ნება მიეცეთ ისარგებლონ ქალაქის ადგილით მტკვრის პირად, რომ მოკრიბონ ხოლმე ფიჩხი და სხვა.

◆ ამ ორიოდე დღის წინად კრებები ჰქონდათ ტფილისის გარეშემო მდებარე **ბაღების მოსამსახურეებს.** მოსამსახურეებმა თავიანთ მდგომარეობის შესახებ მოილაპარაკეს და მოთხოვნილებანი წარუდგინეს მებაღეებს. პირველ ხანს ეს უკანასკნელნი წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ბოლოს შემდეგში შეთანხმდნენ: 1. უქმეებში მუშაობა არ იყოს; 2. კვირაობით მამულის პატრონს ნობათი აღარ მიეცეს; 3. მუშაობა იყოს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე; 4. ჯამაგირები მოემატოთ; 5. ქურდობა ან ურთი-ერთ შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილება გაარჩიონ არჩეულმა კაცებმა.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2768.

შიმშილის მოსპობა ძალით შეიძლებოდეს. როდესაც ადამიანი კვნესის და სული უწუხს შიმშილისაგან, თქვენ მას ვერ დააწუმებთ იარაღით! ხალხს შია, ხალხი იტანჯება უზომოდ, ხალხი ცრემლებს ღვრის გამწარებული, ხალხი თხოულობს პურს და თქვენ გინდათ მათრახები შეაგებოთ საპასუხოთ?..

* *

როგორც ზევით ვსთქვით, გლეხების მოძრაობა ქართლშიაც გამოვიდა და, სხვათა შორის, ბევრი რამ გამოაშკარავა ადგილობრივი მემამულეების შესახებ.

გაიმართა მემამულეთა რამდენიმე კრება, რომლებზედაც საგულისხმიერო აზრები იქმნა წარმოთქმული. ერთი თხოულობდა: „გლეხ-კაცები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შევეგებოთ. გლეხები ამბობენ, ჩვენ არავითარი ძალის არ გვეშინიანო, ძალა ვერ გაგვაჩერებსო, მაგრამ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შევიძლიან ჩავაქროთ ეს მოძრაობა; ჩვენ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, ვსთხოვოთ მთავრობას, რომ მოგვცეს ჯარი ამ სტიქიური ძალის მოსასპობლად. მეორე განათლებული თავადი ამტკიცებდა, რომ გლეხები და თავად-აზნაურები ყოველთვის ძმები იყვნენ, ერთს ტაფაში და ცეცხლზე იწვოდნენ; რომ თავადის წინააღმდეგ გლეხს არ შეუძლიან წასვლა, რადგან თავადი მისი უფროსი ძმაა და მუდამ მის კეთილდღეობაზე ჰფიქრობსო. ამ მზრუნველობის დასამტკიცებლად თავადები ამბობდნენ, გლეხებს ჟურნალ-გაზეთებმა ჩააგონეს წინააღმდეგობის გამოცხადება და ამიტომ კარგი იქნება შევადგინოთ და სადაც ჯერს არ წარვადგინოთ ასეთ ჩამგონებელ პირთა სიაო. სხვები კიდევ იმას გაიძახოდნენ: საამოვნებით დავუთმობთ ჩვენს მიწებს გლეხებს, თუ ჩვენ სამაგიეროთ მოგვეცემა სხვა ახალი მიწებიო, —ამბობდნენ ამას და თვალებს ისვევდნენ საქმის ნამდვილ მდგომარეობის წინაშე. ერთ კრებაზე ფეოდალების თავხედობა იქამდის მივიდა, რომ კრებიდან გააძევეს მოწინააღმდეგე ორატორი. საკვირველი იყო ერთი კრების ამხედრება პრესის წინააღმდეგ: პრესამ გამოიწვია დღევანდელი მოძრაობა, მაუსია ძმა-ძმას, თორემ არაფერი არ იქმნებოდაო. თურმე პრესსა რომ არა, გლეხი ისე ვერ იგრძნობდა შიმშილს და არც მოკვდებოდაო! ძალიან თავგამოდებული მომხრეები ჰყოლიათ ჩვენში გრინგმუტს და თავად მეშჩერსკის! ეს არის ჩვენი თავადების მზრუნველობა გლეხებისათვის? ერთს ტაფაში ვიწვითო? არა, როგორც სჩანს, გლეხი და პრესსა იწვის ერთს ტაფაში, რადგან ორივეს წინააღმდეგ ამხედრებულან მემამულეები, და პრესსა ყოფილა გლეხის ძმა!

* *

უნდა დავუბრუნდე ჩვენებურ სკოლას, რომელიც ყველაფერს ემსხვერპლება, მხოლოდ არა ადამიანის აღზრდას. 24 თებერვალს, იწერებიან დუშეთიდან: აქაურ საქალებო სკოლის მოწაფენი რაღაც ფაცა-ფუცში იყვნენ: ზოგს ქადა და ერბო მიჰქონდა, ხელსახოცში გახვეული, ზოგს ყველი, და სკოლაში ჰაირბენინებდნენ. ბავშვების ნაწვალ-ნადაგვით მასწავლებელმა კაცმა და ქალმა თავის მეგობრებს ვახშამი გაუმართეს, მოილხინეს და, რასაკვირველია, არ დაივიწყეს სადღეგრძელოების დროს ჩვენი ქვეყანა და უსურვეს თავისებური „განათლება“, ე. ი. გარუსება. მოგეხსენებათ, რომ ჩვენებურ პედაგოგებისათვის განათლება და გარუსება, გარუსებული და განათლებული ერთი და იგივეა. ახირებულ პოლიტიკოსებს ავიწყდებათ მხოლოდ ერთი რამ: მათი აზრი რომ მართალი იყოს — რუსობა და განათლება ერთია. მაშინ მთელი რუსეთი ყველაზე უფრო განათლებული სახელმწიფო იქნებოდა, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვას ვხედავთ და რუსეთისთანა ჩამორჩენილი ქვეყანა მეორე არაა ევროპაში.

ქიზიყიდან გვატყობინებს ერთი მშობელთაგანი: არხეინად და გულ-დამშვიდებით ვიყავით, შვილები სასწავლებლებში გვყავდა, გვიხაროდა, მალე განათლებულ შვილებს მოვესწრებითმეთქი. მაგრამ მოულოდნელად სახლში გამოგვირეკეს შვილები, პანღური ამოკრეს, დაიკარგენითო. მერე რისთვის?!. როგორ გაჰბედეთ და მოითხოვეთ ჟურნალ-გაზეთების კითხვის ნება, ჯაშუშების მოსპობა, მასწავლებელთაგან ზრდილობიანად მოქცევა, ნაშუადღევის ხუთი საათის შემდეგ გარეთ გამოსვლის ნება და სხვა. მერე რა ბაბილონის კედლები დაარღვია ამ მოთხოვნილებებმა? მონობის კედლები! ჩვენებურ მასწავლებლებს ადამიანად არ მიაჩნია ადგილობრივი მოსწავლე და ვერ წარმოუდგენია, რომ ეს მოსწავლე ხმას ამოიღებს თავისუფლებისათვის. დედა-ენის შემოღება, დედა-ენაზე საგნების სწავლება რომ მოითხოვეს მოსწავლეებს, მაშინ კუნძულ სახალინზე გადაასახლებდნენ, არავინ იფიქრობს, რომ ჩვენებური პედაგოგია ამას მოერიდოს. არავითარს სასჯელს და ზომას არ მოერიდება ადამიანური და თავისუფალი სულის მოსასპობლად, და თუ ვერ ბედავს დღეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჭაერში სხვა სუნი დატრიალდა, სხვა ძალა ამოძრავდა და ამ ძალის აბუჩად აგდება არავის არ დააყრის ხეირს. ცოტათი ესმისთ ეს ჩვენს ერუ პედაგოგებსაც.

საკვირველია ზოგიერთი მშობლების საქციელი: იმის მაგიერ, რომ გვერდში ამოუდგნენ თავიანთ შვილებს და მხარი დაუჭირონ მათ მოთხოვნილებებს, ესენი დადიან ქუჩა-ქუჩა, კარ და კარ, წუწუნებენ და სტირიან: შვილებს გამოგვირეცხავენ, გაგვიდახავენ, ცუდის თვალით შეხედავენ. განა ამით ეშველება საქმეს? ვისაც ჭეშმარიტად უყვარს თავისი შვილი, ის სხვანაირად მოიქცევა, მოიქცევა ისე, როგორც მოიქცნენ ქუთაისელი მშობლები და ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლები. ამ თვის ექვს ფოთის სასწავლებელში შეიკრიბნენ მშობლები, რომელთაც სკოლის ზედამხედველმა წარუდგინა დირექტორის პასუხი ბავშვების მოთხოვნებზე. დირექტორის პასუხი ამბობდა: „მოსწავლეებს არავითარი ნება არა აქვთ ასეთი უსამართლო (??) მოთხოვნილება წარმოადგინონ; შესრულება არ შეიძლებაო“. ასეთმა პასუხმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მშობლებმა განაცხადეს, რასაც ჩვენი შვილები თხოულობენ, იმასვე ვთხოულობთ ჩვენცო. ამასთანავე აღნიშნეს ისიც, რომ სასწავლებლს სახელად ჰქვია „ფოთის სამოქალაქო მეგრული სასწავლებელი“: ეს იმიტომ გამოიგონეს, რომ სასწავლებელში ქართული ენა მოესპოთ. დასასრულ დაადგინეს: ვიდრე მოსწავლეთა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ, შვილებს სასწავლებელში არ გავგზავნითო.

ტფილისელი მშობლები რაღასა შვრებიან? წუწუნობენ მხოლოდ. იკმარონ წუწუნი და დრო არის, გამოიჩინონ ისეთივე მოქალაქობრივი თვითშეგნება და ნამდვილი სიყვარული შვილებისადმი, რომელიც გამოიჩინეს ფოთელებმა. ძველის ცრუმორწმუნოებით არსებობა დღეს შეუძლებელია, დღეს საჭიროა, ახალ აზრებზე დავამყაროთ ჩვენი ცხოვრება და მოქმედება!

* *

კავკასიის ერთა ძმობა, სოლიდარობა და ერთობა! ისე ძლიერ და ისე ხმა-მაღლა, ისე შეგნებულად არასოდეს არ გაგვიგონია ეს სიტყვები, როგორც გვესმის დღეს! დადგა დრო ამის განსახორციელებლად და ის ახალი თავისუფალი ცხოვრება, რომელსაც ვეგებებით ახლა, შეუძლებელია სხვაფერ, თუ არა ამ ერთობის ნიადაგზე!

ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ შეურყეველია ეს ერთობა, ამის აუცილებლობა სტიქიური მოვლენაა და ვერავითარი ძალა ვერ გათიშავს კავკასიის ერებს და ვერც ერთს ვერ მიანიჭებს კეთილდღეობა გარეშე მეორისა. თუ საჭიროა ეროვნული თვითარსებობა, საჭიროა არა შოვინისტური, ხიხური, კარჩაკეტილი, არამედ სოლიდარული, შეთანხმებული სხვა ერებთან, განსაკუთრებით მეზობელ ერებთან.

ამ ერთობის აუცილებლობას ვერ შეარყევს ისეთი კერძო ფაქტი, როგორიც იყო შავის ზღვის პირად სომხების დასახლების საქმე და ქალაქის დეპუტაციის წევრთა კანდიდატების არჩევა. ეჭვი არ არის, სამწუხარო მოვლენა იყო ერთიც და მეორეც, მაგრამ უმნიშვნელოა და უნაყოფო მათი გაზვიადება. დღეს ძალა და დედა საკითხი მაგგვარ ფაქტებში არ არის: მთელი ჩვენი ძალ ღონე, აზრი და ფიქრი სულ სხვა მხარეზე უნდა იყოს მიმართული.

ჯერ მოვიპოვოთ ადამიანური არსებობა და დამოუკიდებლობა ყველამ და მერე ვილაპარაკოთ ურთიერთობის მოწესრიგებაზე. კერძოდ ქართველებისათვის ამასთანა საკითხები თავისთავად გადაწყდება, როდესაც თავისუფლად სულს ამოვითქვამთ და ჩვენვე ვიქნებით ჩვენი თავის პატრონ-მომვლელნი.

ამიტომ ხელს ნუ შევახებთ კავკასიის ხალხების ერთობას: ძალა და მომავალი ამ ერთობაშია!

სიტყვა.

✦ როგორც ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, თერთმეტს მარტს, საღამოს შვიდ საათზე, ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი **დასცემია საფოსტო კანტორას**, მაგრამ ის სკივრი, სადაც ფული ინახებოდა, დაკეტილი ყოფილა, კანტორის უფროსი გარედ გავარდნილა და გასაღებიც თან წაუღია, ამიტომ ვერა წაუღიათ-რა.

✦ ტფილისში განიზრახეს **ურთიერთ დამზღვევ საზოგადოების დაარსება.** პარასკევს, 11 მარტს, ვეტცელის თეატრში მოხდა კრება 70 კაცისა. კრებამ აირჩია 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა შეჰკრიბოს რუსეთის ქალაქებში ცნობები ასეთ საზოგადოებათა შესახებ და შეადგინოს წესდება. დროებით თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. კ. ბარსამოვი, ხოლო მდივნად ტერ-მინასოვი, ხაზინადრად კ. ი. ასლამაზოვი.

✦ დღეს, 13 მარტს, სახაზინო თეატრში, ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით წარმოდგენას მართავს საგასტროლოდ ჩამოსული **ქუთაისის დრამატიული დასი.** წარმოადგენენ ცნობილ პიესას „კაი გრაკხს“, რომელიც ასე ძლიერ მოეწონა ამას წინად ჩვენს საზოგადოებას. მონაწილეობას იღებს ქუთაისის მთელი დასი და, სხვათა შორის, ახალგაზდა ნიჭიერი მსახიობი ქ-ნი დავითაშვილი.

✦ **დაინიშნენ მომრიგებელ-შუამავლებად:** ბორჩალოს მაზრის მეოთხე ნაწილისა—თავ. ალ. ჩიჯავაძე და სიღნაღის მაზრის პირველ ნაწ.—თავ. მაკარ ჭავჭავაძე. დათხოვნილ იქნა თავისავე სურვილით ზუგდიდის მაზრის მომრიგებელი-შუამავალი თავ. ზაალ ჭავჭავაძე.

✦ თერთმეტ მარტს, დილის ხუთ საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს ეზოში, ვიღაცამ **ტყვიით დასჭრა** სალებავ ამქრის ბრიგადირი ქუმსაძე. დამნაშავე სადღაც გაქრა.

✦ ბაქოს ქალაქის **იურისკონსულტმა ლ. ნ. ანდრონიკაშვილმა** თანამდებობას თავი დაანება

✦ „პრავ. ვესტ.“-ში უმაღლესი ბრძანებაა დაბეჭდილი ქალაქ **ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში რევიზიის მოხდენის** შესახებ. რევიზორად დაინიშნა, როგორც უკვე ვწერდით, სენატორი კუზმინსკი.

✦ 25 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიწყნარა კავკასიის მთავარ-მართებლის შუამდგომლობა ქალაქ **ერევანში გაძლიერებულ დაცვის წესების** შემოღების შესახებ.

✦ სად. ბაქო. 11 მარტს, საღამოს 6½ საათზე, სარაიას გამოსავალ კარებთან ვიღაცამ მოჰკლა ტყვიით ხურო თევდორე კისელევი.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის-მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 298.**

ქუთაისის ახალი ამბები

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ ტფილისში გაგზავნა ორი წარმომადგენელი: ივ. ნიჟარაძე და ბართ. მოსეშვილი ამათ ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის თ. სიმ. დ. წერეთელთან (რომელიც ამ ჟამად ქალაქში იმყოფება) ერთად უნდა იშუამდგომლონ, რომ ჭიათურიდან დაბრუნებულ იქმნას ის ჯარი, ამას წინად რომ გაიგზავნა. ჯარის იქ ყოფნა კიდევ უარესად აფერხებს ამ უკანასკნელ დროს უმისოდაც დაქვეითებულს შავი-ქვის მრეწველობის საქმესო..

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ზდანოვიჩი პეტერბურგს წავიდა. საბჭოს მოსვლია ამბავი, რომ ამის შემდეგ მწარმოებელთა კრებაზე მხოლოდ ექსპორტერებს ექმნებათ ხმის უფლებაო. ამ რიგად ჭიათურის შავი-ქვის წარმოების საქმე შვიდი-რვა კაცის ნებისად უნდა დატრიალდეს, რადგან ამ საქმეში მცირეა ექსპორტერების რიცხვი და დიდს უმრავლესობას, თითონ მრეწველთ ერთმევათ უფლება, თავიანთ კრებებზე იკამათონ თავის ავ-კარგის შესახებ. ამ საქმისათვის გაემგზავრა გ. თ. ზდანოვიჩი პეტერბურგს.

✦ ქალაქში სიწყნარეა დღისით, მხოლოდ ღამ-ღამეობით კვლავ დადიან ყაზახ-რუსები. საღამოს 8 საათიდან დიდი სიფრთხილე მართებს ყველას.

✦ მეტი წილი სასწავლებლებისა კიდევ დაკეტილია. ზოგგან მიდის სწავლა, მაგრამ ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩამდგარა. თხუთმეტ ამ თვიდან კი არიან მიწვეულნი მოწაფენი სწავლის განსაგრძობად, და ვინც არ გამოცხადდება და ხვედრს სწავლის ქირას არ წარადგენს, გამორიცხულად ჩაითვლება; მათი მშობელნი მაინც კიდე ორ-ცეცხლ შუა არიან: ვერ გადაუწყვეტიათ-გაგზავნონ თუ არა ბავშვები 15-სათვის.

✦ 11 მარტს შუადღისას ქუთაისის საკრებულოს დარბაზში შეიკრიბნენ თავად-აზნაურთა და მოხელეთა წარმომადგენელნი ახლად დანიშნულის გენერალ-გუბერნატორის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანის მოწოდებით. თავადმა მიმართა სიტყვით პირველად თავად-აზნაურთ და სთხოვა მათ შემწეობა და დახმარება ხალხში სიმშვიდის ჩამოსაგდებად: მე იმედი მაქვს, თქვენ ყველაფერი შეგიძლიანთ და დამეხმარებით, რომ საქმე უკიდურესობამდის არ მივიდეს და იძულებულს არ გამხდით, ბრძანებისამებრ, ძალა ვიხმაროო. შემდეგ თავად ორბელიანმა მიმართა მოკლე სიტყვით მოხელეთა წარმომადგენელთაც. სთხოვა მათ, სხვათა შორის, რომ განურჩევლად ხალხოსნობისა ერთნაირად უყურეთ და მოექეცით მცხოვრებთო.

✦ ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ შემდეგის შინაარსის საპასუხო დეპეშა მიიღო თავ. სვიატოპოლკ-მირსკისაგან: „ბავშობის დროის მოგონებით ჩემთვის ძვირფასს ქუთაისის სასურველმა მოკითხვამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება იქონია. გთხოვთ გადასცეთ ხმოსნებს ჩემი გულითადი მადლობა“.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რ.! თქვენის გაზეთის 2703 №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნ სიტყვას ფელეტონი, სადაც ის, სხვათა შორის შეეხება, პეტერბურგის ქართველ სტუდენტების ერთს ჯგუფს. ბ-ნი სიტყვა ამ ფელეტონში სწერს: „პეტერბურგში არის ერთი ჯგუფი ქართველ სტუდენტებისა, რომელიც უფრო მეშჩანსკისტია, ვიდრე თვითონ ბრწყინვალე მეშჩანსკი, რომელიც „მოსკოვს.-ვედ.“-ბს უფრო ჰკითხულობს, ვიდრე „რუს. ვედ.“-ებს, რომელიც პატივსა სცემს უფრო „ოპრიჩნიკებს“, ვიდრე თავისუფალ ადამიანსაო“... ამას არ კმარობს ბ-ნი სიტყვა და ზედ დასძენს, რომ ეს სტუდენტთა ჯგუფი „არ სცხოვრობს დღეს ერთად მთელ მოწინავე რუსეთთანაო“, რადგანაც სულ სხვა ინტერესი აქვს, სახელდობრ, „მხიარული ცხოვრება, დროს გატარება, არაფერი არ აწუხებს მას, არაფრის დარდი არა აქვსო“.

დასასრულ, ავტორი, იმ მოსაზრების ძალით, რომ შეცდომით სხვა არავისზე აილონ ეჭვი, ბრძანებს, ეს ის სტუდენტთა ჯგუფია, რომელმაც მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში გამართა პეტერბურგში ქართული საღამო.

რადგანაც ყველაფერი, რასაც ბ-ნი სიტყვა ბრძანებს ამ ფელეტონში შესახებ იმ ქართველ სტუდენტების ჯგუფისა, რომელმაც ზემოხსენებული საღამო გამართა მიმდინარე აკადემიურ წელს, სიცრუეა და ამასთანავე ჩირქსა სცხებს ჩვენს პატიოსნებასა და სახელს, მე, ამ ჯგუფის მონდობილობით, ვიწვევ ბ-ნ სიტყვას სამედიატორო სამართალში, სადაც შეეძლება დაამტკიცოს, ერთის მხრივ, სიმართლე იმ დანაშაულობისა, რომელსაც ჩვენ ჯგუფსა სდებს, და მეორეს მხრივ—თავისი კეთილ-სინიდისიერება, როგორც ჟურნალისტისა, რადგანაც იკადრა და გაზეთის შემწეობით მეტად მძიმე ბრალი დასდო რამდენიმე პირს, თუმცა ამ ბრალდებისათვის არავითარი საბუთი ხელთ არა ჰქონდა.

გთხოვ ბ-ნ სიტყვას ერთის კვირის განმავლობაში მაცნობოს თავისი თანხმობა.

პირობები, რომელიც უთუოთ უნდა იქმნას აღსრულებული ამ სამართალის დროს, შემდეგია:

1) ორთავ მხარემ, მეც და ბ-ნმა სიტყვამაც მოსამართლედ სამ-სამი კაცი უნდა ამოვირჩიოთ; ესენი თავის მხრივ ამოირჩევენ მეშვიდეს, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეობას იკისრებს.

2) სამართალი სახალხოდ უნდა სწარმოებდეს, რომ ყველას მიეცეს ნება დაესწროს. ეს პირობა აუცილებლად საჭიროა ძირიანად მოსასპობლად იმ ჭორებისა, რომელიც ეხლა ჩვენს საზოგადოებაში არის გავრცელებული ჩვენ შესახებ.

და 3) სასამართლოს განაჩენი უეჭველად დაბეჭდილი უნდა იქნეს როგორც „ცნობ.-ფურცელში“, სადაც ბ-ნი სიტყვა მუშაობს, აგრეთვე სხვა ქართულ გაზეთებშიაც.

პარმენ გედევანიშვილი.

პასუხი

ახლავე ვუცხადებ ჩემს თანხმობას ბ-ნ გედევანიშვილს. ჩემის მხრითაც ამგვარივე წინადადება მივეცი მას, როდესაც მოვიდა ჩემთან ამ თებერვლის წინად ხსენებულ ფელეტონის გამო,—რომ ერთად ერთი საშუალება საქმის გადასაწყვეტად არის სამედიატორო სამართალი.

მხოლოდ ვის გაუგონია, რომ სამედიატორო სასამართლოს წესებს ადგენდეს ერთი მხარე! წინადაც ვუთხარი ბ-ნ გედევანიშვილს და ახლაც ვიმეორებ, რომ ფაქტიურად ჩვენის სურვილის განხორციელება—მედიატორეთა მიერ საქმის გარჩევა შეიძლება მაის ივნისში, როდესაც დაბრუნდებიან რუსეთიდან სტუდენტები და შეძლება მოგვეცემა ორივე მხარეს მოვიწვიოთ საჭირო მოწმეები.

მეორე—აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს, რომ მაინცა და მაინც შვიდი კაცი მოვაცდინოთ ჩვენი სადავო საქმისათვის, (შეიძლება საქმის გარჩევა გაგრძელდეს) როდესაც დღეს აიასი საქმეა გასაკეთებელი და გამკეთებელი-კი ცოტაა. საკმარისია სამი მოსამართლე—ერთი ჩემის მხრით და მეორე მათის მხრით და ერთიც თავმჯდომარე.

მესამე—ვთხოვ ბ-ნ გედევანიშვილს, წარმოადგინოს რწმუნებულობის ქაღალდი, ხელმოწერილი ყველა იმ სტუდენტებისაგან, რომელთაც მიანდეს მას ჩემი სამართალში გამოწვევა.

სიტყვა (სამსონ ფირცხალავა).

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

12 მარტი.

ბერლინი. „ლოკალ ანცაიგერ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: სამხედრო მინისტრმა ტერაუჩიმ ნება მისცათ ტყვე რუსებს ყოველ დღე ისეირნონ თავიანთ ბინის ახლო; აფიცრებსაც ნება მისცა აღნიშნულ პირობით თავიანთ ოჯახებით კერძო სახლებში იცხოვრონ.

წმ. მავრიკის კუნძული. გემი „ვარორა“ წყნარ ოკეანის პირველსა და მეორე რაზმს შეჰხვდა ინდოეთის ოკეანეში, ცეილონიდან რვაას-ცხრაას მილზე, სამხრეთ-დასავლეთით. რუსის ესკადრა, ალბად, ზონდის სრუტისაკენ მიდიოდა.

პორტ-საიდი, 11 მარტი. ტრანსპორტები „კოსტრომა“ და „გერმან ლერხე“ სუეცის არხში შევიდნენ. დანარჩენი ფლოტი სვალ გამოივლის.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ“-ი ჰფიქრობს, იაპონია არ მოითხოვს კონტრიბუციას, თუ ინგლისი და ამერიკა თავდებად დაუდგებიან, რომ ზავის პირობა მტკიცედ იქნება ასრულებულიო.

ნიუ-იორკი. ხელის მოწერამ იაპონიის სესხზე ნომინალურ სუმას გადააჭარბა.

ვაშინგტონი. „მორნინგ პოსტ“-ი ჰფიქრობს, ამერიკამ კორეიიდან იაპონიის თხოვნით გაიწვია თავისი ელჩი ალენიო. ეს ამბავი მოასწავებს იაპონიის სიუზერენიტეტს კორეიაზეო.

ლონდონი. გრაფმა პერსიმ პალატაში ოპუტატებს უპასუხა: მთავრობამ იცის, ბაქოში მცხოვრებ ინგლისის ქვეშევრდომთ ტაოდენი შიში აქვთ. ინგლისის ელჩს პე ბურგში მივანდეთ, რომ ამის თაობაზე წ დადება წარუდგინოს რუსეთის მთავრობას. სეთის მთავრობა, ეტყობა, განსაკუთრებულ ნისძიებას მიიღებს წესიერების აღსადგენად

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან

12 მარტი.

ლონდონი. ტოკიოში გამოაცხადეს ონიის იმპერატორის ბრძანება, რომლით სეულში გახსნილ იაპონიის ბანკის პირვე განყოფილებას ნება ეძლევა კორეიაში ფ ლის საქმე მოაწესრიგოს, სახელმწიფო მულებს ზედამხედველობა გაუწიოს და ლალდის ფული გამოსცეს. ამ ფულს მილიონ იენის ფონდი ექნება გარანტია —იაპონიის სესხი მცირე სარგებლით მოიცა, ეს გარემოება იაპონიის კრედიტ განმტკიცებას მოასწავებს. ხმა დადის, „სტ ნდარდ ოილ“-ის ამხანაგობა ამერიკაში სხის უმეტეს ნაწილს აიღებს იმ პირობით რომ სანაცვლოდ სახალინის ნავთის ადგ ლების კონცესია მიეცეს.

ტოკიო. იაპონელებს მუკდენთან თებერვლამდე დაახლოვებით 46 ათასი კაცი დააკლდათ. იმ ტყვე რუსების რიცხ რომლებიც მუკდენის მიდამოებში დაა ნავეს, 450 აფიცერსა და 48 ათას სალდა შეადგენს.—ტოკიოს გაზეთები თხოულ ბენ, იაპონიის არმიამ მუდამ სდიოს რ სის არმიასაო. იაპონელები მეტად სწრაფ მიდიან წინა. ის რაზმი, რომელმაც ჩანტ ფუ დაიჭირა, კავალერიისა და არტილერ ისაგან შესდგებოდა. რუსის რაზმმა, რ მელიც აგრეთვე კავალერიისა და არტილ რიისაგან შესდგებოდა, სუსტი წინააღმ გობა გაუწია იაპონელებს. იაპონელები ჩქარებით მიდიან გირინისაკენ. ჰფიქრობ რუსების სიმაგრეების პირველ რიგს მა დაიჭერენ იაპონელებიო.

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის უქ შევრდომილესი დეპეშა, 11 მარტის თარ ღით: „ჩვენს მზვერავ რაზმს თოფი დაუშ ნეს სოფ. პულიუშუდან, სადაც იაპონ ესკადრონი კავალერია და პატარა რაზ ქვეითი ჯარი დგას. არმიების მდგომარეო დღეს არ შეცვლილა. 10 მარტს ჩვენ ცხენოსანმა რაზმებმა უკუაგდეს იაპონელ კავალერია, რომელიც შუანმიაუზას მი ხლოვდა. 9 მარტს ჩვენს განაპირა მარც ნა ფრთაზე, სოფ. კანჩენცზიდან 6 ვე სტზე, იაპონელთა რამდენიმე ესკადრონ უკან დაახევინა ჩვენს პატარა ცხენოს რაზმს. მაშველმა ცხენოსანმა რაზმა იაპ ნიის კავალერიას, რომელიც იერიში მი რიდა, კანჩენცზისაკენ დააწევინა“.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაზორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—14).

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ჯიშისა, საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი. ისყიდება ზომიერ ფასებში, ფ. ი. ავსარქისოვის მამულში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. ადრესი: სადგური სკრა, (ამიერ-კავკას. რკინის გზა). ფ. ი. ავსარქისოვს. (5—70—6)

ტფილისსა და დილომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე

დილომიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ ნაშუადღევის 3 საათ.

ვერიდან დილომს: დილის 9 საათზედ საღამოს 5 საათზედ

მგზავრზედ **25** კაპეიკი.

პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი.

(10—3)

ვარდციხის მამული

ვ. დ. მელმანისა

ვაზის საუკეთესოდ და გასამრავლებლად

Riraria Gloire de Montpellier Rupestris de Lot

Siparia×Vupestris 3306 | Mourvedre×Kupest.1202

Riparia×Hupestris 3309 | Hybride Franc.

Rolonis×Kiparia 1616 | Alicante×Rup.Terras 20

ადრესი: Ст. Ріонъ Зак. Ж. Д. Въ имѣніе Мельмана. ამიერ-კავკ. Кутаисъ, повѣстку перед. на ст. Ріонъ, въ контору имѣнія В. Д. Мельмана, получить И. Л. Гулисову. (11—10)



განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის **საკერავი მაშინები** ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური.

(15—1) პატივის-ცემით გ. ა. ლაზაოევი და ძმისი ჯუმასაძეები.

იყიდება იაფად ტფილისსა და გორში ხეხილის ხეებიდა ნერგები კ. აფრიკიანის სანერგეს „ტრუდ“-იდან.

მსურველმა უნდა მიჰმართოს: ტფილისში—მაღაზია მელიქ-ბახტამიანცისა და ამხან. პუშკინ. ქ. გორში—კ. აფრიკიანი კატალოგები უფასოდ. (10—87—3)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОНДНА“.

(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ და დროზე მზადდება. ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—23)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა

იაპონია

ფასი-20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.

ტფილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—6)

ნავთის მწარმოებელ საზოგადოების

„შეფან“

გამგეობა იწვევს ბ-ნ პაის პატრონთ წლიუ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულ კვირას, 20 მარტისათვის, ქალაქის საბჭ დარბაზში, საღამოს 8 საათზე. კრებამ უნ გინიხილოს და დაამტკიცოს უკანასკნე საოპერაციო წლის ანგარიში და დაადგ ნოს ამხანაგობის საქმეთა ლიკვიდაცი წესი. (3—96—2)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—1)

(60—5)

Доз. цен. Тифлисъ, 12 Марть 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.